სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი

www.procurement.gov.ge

სახელმწიფო შესყიდვების გზამკვლევი

2015 წელი
თბილისი

პუბლიკაცია გამოიცა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით, მისი პროექტის "მმართველობა განვითარებისათვის" (G4G) ფარგლებში. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს USAID-ის პოზიციას.

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

Governing for Growth in Georgia



სარედაქციო კოლეგია:

ლევან რაზმაძე - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე
ზაზა ნანობაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე
კახა დემეტრაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

რედაქტორი:

ზაზა ნანობაშვილი

ავტორთა ჯგუფი:

ლევან ბაინდურაშვილი
ანა ჭანია
ალექსანდრე ჩხიკვიშვილი
ზურაბ გარაყანიძე
ქეთევან ქადაგიძე
ნიკოლოზ ქოჩიაშვილი
გივი გეგელაშვილი
მაია კუხალეიშვილი
გიორგი გოგიბერიძე
მარიამ გოგოლაძე
დიმიტრი გულისაშვილი
ნინო კოპალიანი
ნოდარ ხერხეულიძე

სარჩევი

წინასიტყვაობა	6
1. რა არის სახელმწიფო შესყიდვა	7
2. ვინ არიან შემსყიდველი ორგანიზაციები	9
3. ვინ არიან მიმწოდებლები	11
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს როლი	13
5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა	15
6. შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი	17
6.1. ბაზრის კვლევა და მიმწოდებელთა გამოკითხვა	18
6.2. რა მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბებას	19
6.3. რა არის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა და ePLAN მოდული	24
7. გამარტივებული შესყიდვა	26
8. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ელექტრონული ტენდერი	30
9. კონკურსი	35
10. კონსოლიდირებული ტენდერი	38
11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება	47
12. რა არის CMR მოდული და როგორ ხდება ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის წარდგენა	51
13. დავების განხილვის საბჭო	53
14. რა არის შავი სია	60
15. რა არის თეთრი სია	62
16. პრაქტიკული რჩევები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სწორად წარმართვისთვის	65

წინასიტყვაობა

წინამდებარე გზამკვლევის შექმნის იდეა დიდი ხანია ტრიალებდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კედლებში. 2015 წლის ზაფხულში კი იმატა ახალბედა შემსყიდველთა მრავალრიცხოვანმა თხოვნებმა, რათა სააგენტო დახმარებოდა მათ არსებული სახელმძღვანელოების თუ ინსტრუქციების მარტივად, მათთვის გასაგებ ენაზე გადმოცემაში. ამას დაემატა ცალკეულ ბიზნესმენთა თხოვნებიც - სააგენტოს მიერ საქმიანი შეხვედრებისა და კონსულტაციების უკვე ტრადიციად დამკვიდრებული სასარგებლო პრაქტიკის გაგრძელების თაობაზე. მათვე, - სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციებმა და სხვა ბიზნეს სტრუქტურებმა, სააგენტოს მიმართეს თხოვნით შექმნილიყო საჯარო შესყიდვების კანონმდებლობის საკმაოდ „რთული“ დებულებების, ელექტრონული პროცედურების და გასაჩივრების ეტაპების ადვილად აღსაქმელი გამოცემა.

ამ გემოვნებით და ორიგინალურად ილუსტრირებულ გამოცემაში მკითხველი „მარტივ და გასაგებ“ ენაზე გაეცნობა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მიმდინარე ყველა ძირითად პროცესს, გაიგებს თუ როგორ არის მოწყობილი და ფუნქციონირებს სააგენტო, როგორ მიმდინარეობს ელექტრონული ტენდერები, რა არის შავი და თეთრი სიები და როგორ ხვდებიან მათში კომპანიები, როგორ ახორციელებენ შესყიდვებს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებები, როგორ უნდა იმოქმედონ შესყიდვების მსურველმა ორგანიზაციებმა, რათა რაციონალურად და ეფექტიანად შეისყიდონ მათთვის აუცილებელი საქონელი თუ სამუშაო. გზამკვლევში ლაკონურადაა აღწერილი აგრეთვე კონკურსების სპეციფიკა და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების და შედეგებით სარგებლობის თავისებურებანი. მნიშვნელოვანია აგრეთვე სააგენტოს მიერ ბოლო წლების გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული პრაქტიკული რჩევები და საყურადღებო გაფრთხილებები, რომლებიც გამოცემის ბოლოს თემატურადაა დალაგებული.

ავტორთა ჯგუფი მიზნად ისახავდა შეექმნათ კარგად ილუსტრირებული, ლაკონური ფრაზებით გადმოცემული, ყველა მნიშვნელოვანი პროცესისა და პროცედურის ამსახველი თანამედროვე სახელმძღვანელო, რომლის მკითხველი და მოსარგებლე გახდებოდნენ როგორც შემსყიდველი ორგანიზაციების დამწყები თანამშრომლები, ასევე გამოცდილი და დამწყები ბიზნესმენები. ეს გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს ასევე მოსამართლეებს და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს, ვინც დაინტერესებულია სახელმწიფო სექტორის მონიტორინგით, ჟურნალისტებსა თუ სტუდენტებს.

ჩვენთვის ფრიად საინტერესო იქნება დაინტერესებულ პირთა შენიშვნები და წინადადებები, რომელთაც მათი საფუძვლიანობის შემთხვევაში, აუცილებლად გავიზიარებთ შემდგომ გამოცემებში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გულწრფელ მადლობას უხდის USAID G4G პროგრამას, განსაკუთრებით ქ-ნ ნატალია ბერიაშვილს, ქ-ნ ირინა ირემაშვილს და ქ-ნ თამარ ბუაძეს ამ უაღრესად საჭირო დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემის დაფინანსების საქმეში გაწეული მხარდაჭერისათვის.

1. რა არის სახელმწიფო შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვა არის სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ მათი გამართულად ფუნქციონირებისა და საკუთარი უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებისთვის საჭირო მომსახურების, საქონლისა და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა.

შესყიდვის ობიექტი იყოფა სამ კატეგორიად. ესენია:

- **საქონელი** - ნებისმიერი ტიპის მატერიალური ფასეულობა (გარდა უძრავი ქონებისა), რომელიც განკუთვნილია ორგანიზაციის ამა თუ იმ სახის მოთხოვნილებისა და საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად: სურსათი, ელექტროტექნიკა, ავტომობილები და ა.შ.

- **სამშენებლო სამუშაოები** - ყველა ტიპის სამშენებლო ობიექტის მშენებლობასთან, რეკონსტრუქციასთან, რემონტთან ან დემონტაჟთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო; მაგალითად: შენობის გამაგრების, გზის მოასფალტების სამუშაოები, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა და ა.შ.

- **მომსახურება** - ნებისმიერი შესყიდვის ობიექტი, გარდა სამშენებლო სამუშაოებისა და საქონლისა. მაგალითად, შენობის დასუფთავების მომსახურება, სატელეკომუნიკაციო, სადაზღვევო მომსახურება და ა.შ.

ყოველწლიურად სახელმწიფო ასეულობით მილიონ ლარს ხარჯავს სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა თუ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე. 2014 წლის მონაცემებით სახელმწიფო შესყიდვებზე დახარჯულმა თანხამ დაახლოებით 2,8 მილიარდი ლარი შეადგინა. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვები დიდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს კერძო კომპანიებისათვის, როგორც მათი შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციური წყარო.

სახელმწიფო ორგანიზაციების ერთ-ერთ მიზანს სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად, დასახული მიზნების შესაბამისად ხარჯვა და ბიუჯეტის შემოსულობების რაციონალურად გამოყენება წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნული, თავისთავად, გარკვეული წესებისა და პროცედურების დაცვას საჭიროებს. ამიტომ, როგორც წესი, სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის პროცედურები, კერძო სექტორის შესყიდვებთან შედარებით, მეტი ფორმალობებით გამოირჩევა, რომელთა შესახებ ინფორმირებულობა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მოეთხოვებათ. აღნიშნული წესები და პროცედურები გათვალისწინებულია საქართველოს კანონში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. კანონმდებლობის ერთ–ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო შესყიდვები, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, საჭიროა წარიმართოს ნებისმიერი მიმწოდებლისთვის ხელმისაწვდომი პროცედურების - ღია ტენდერების საშუალებით. ამასთან, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია სხვა შესყიდვის საშუალებების გამოყენებაც, რომელთაც განეკუთვნება, მაგალითად, გამარტივებული შესყიდვა.



2. ვინ არიან შემსყიდველი ორგანიზაციები



შემსყიდველი ორგანიზაციები არიან სახელმწიფო შესყიდვის მონაწილე სუბიექტები, რომლებიც შეისყიდიან საქონელს, მომსახურებასა და სამშენებლო სამუშაოს.

დღესდღეობით კანონმდებლობა შემსყიდველ ორგანიზაციებად მიიჩნევს სამეურნეო ურთიერთობების შემდეგ სუბიექტებს:

- სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს;
- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული რელიგიური გაერთიანებებისა);
- იმ საწარმოებს, რომელთა წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;

- არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომლებიც:

► დაფუძნებულია სახელმწიფო ორგანოს ან მის მიერ შექმნილი/დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;

► დაფუძნებულია ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს ან მის მიერ შექმნილი/ დაფუძნებული იურიდიული პირის მიერ;

► დაფუძნებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ან ექვემდებარება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის კონტროლს;

- სხვა პირებსა და ორგანოებს, რომელთა მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზეც ესა თუ ის კანონი პირდაპირ მიუთითებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ჯერჯერობით სრულყოფილად არ გვევლინება შემსყიდველ ორგანიზაციად. კერძოდ,

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არსებული საბავშვო ბაღები და სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულებები სრულფასოვნად შემსყიდველ ორგანიზაციებად ჩაითვლებიან 2018 წლის საბიუჯეტო წლიდან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა;

- ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები სრულფასოვნად შემსყიდველ ორგანიზაციებად ჩაითვლებიან 2016 წლის საბიუჯეტო წლიდან, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

ის გამონაკლისი, როდესაც ჩამოთვლილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები მაინც ჩაითვლებიან შემსყიდველ ორგანიზაციებად, არის შემთხვევა, როდესაც ეს სუბიექტები სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ფინანსდებიან კანონით განსაზღვრული – შემსყიდველი ორგანიზაციების სახსრებით. მაგალითად, კონკრეტული საბავშვო ბაღი სრულად ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან. ამ შემთხვევაში, საბავშვო ბაღი გვევლინება შემსყიდველ ორგანიზაციად, რადგან იგი ნებისმიერ საქონელს, მომსახურებასა და სამშენებლო სამუშაოს შეისყიდის სწორედ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახსრებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს საბავშვო ბაღი ბიუჯეტიდან დაფინანსდებოდა, მაგალითისთვის, მხოლოდ სახელფასო ფონდით, ან საერთოდ არ დაფინანსდებოდა ბიუჯეტიდან, მაშინ იგი 2018 წლის საბიუჯეტო წლამდე არ ჩაითვლებოდა შემსყიდველ ორგანიზაციად.

გახსოვდეთ!

ნებისმიერი შემსყიდველი ორგანიზაცია ექვემდებარება რეგისტრაციას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რეგისტრაციის წესები მოცემულია „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოში“, რომელიც განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.procurement.gov.ge

3. ვინ არიან მიმწოდებლები



მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვების მონაწილე მეორე მხარეა, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას უზრუნველყოფს საჭირო საქონლით, მომსახურებით ან სამშენებლო სამუშაოთი.

კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვების ეტაპების მიხედვით, მიმწოდებელს სამგვარად ახასიათებს:

- **შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი** – პირი, რომელსაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და ჯერ არ გამხდარა პრეტენდენტი;
- **პრეტენდენტი** – პირი, რომელმაც სახელმწიფო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით გადაიხადა საფასური და წარადგინა სატენდერო წინადადება;
- **მიმწოდებელი** – პირი, რომელთანაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

გახსოვდეთ!

სახელმწიფო შესყიდვებში მიმწოდებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე საქართველოს ან უცხოური კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი.

იმისთვის, რომ მიმწოდებელმა შეძლოს სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობა, იგი, პირველ ყოვლისა, რეგისტრირებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ამასთან, უნდა აკმაყოფილებდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ ზოგად მოთხოვნებს. მაგალითად, მიმწოდებელი არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვების მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში (შავ სიაში), რადგან, ასეთ შემთხვევაში, მას რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და გააფორმოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

ამის შემდგომ, მიმწოდებელი, კონკრეტულ შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად, უნდა აკმაყოფილებდეს ამ შესყიდვისთვის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო და ტექნიკურ მოთხოვნებს. პრეტენდენტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სატენდერო/საკონკურსო პირობებს, დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

გახსოვდეთ!

ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად პოტენციური მიმწოდებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. რეგისტრაციის წესები მოცემულია „სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელოში“, რომელიც განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.procurement.gov.ge

4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს როლი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო შესყიდვის სააგენტო წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ ორგანოს. სააგენტო ფუნქციონირებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. სააგენტოს უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, სახელმწიფო შესყიდვების პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და მიმწოდებელთათვის ჯანსაღი კონკურენციის პირობების შექმნა, რათა სახელმწიფო სახსრების ხარჯვა განხორციელდეს ღიად და რაციონალურად.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემურ შესწავლას და სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სრულყოფის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ნორმატიული აქტების შემუშავებასა და გამოცემას. მის ფუნქციებში შედის სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ადმინისტრირება/ზედამხედველობა, სისტემის მომხმარებელთა ბაზის ადმინისტრირება, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მონიტორინგი, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის დროს დაინტერესებულ პირებსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს შორის წარმოქმნილი დავების განხილვა, საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა შემსყიდველი ორგანიზაციებისთვის, გაფრთხილებული მიმწოდებლების რეესტრისა და მიმწოდებელთა თეთრი და შავი სიების წარმოება და სხვა.

2010 წელს სააგენტოს მიერ შეიქმნა და დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება შესაძლებელი გახდა ელექტრონული ტენდერების მეშვეობით. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება სისტემურად ღიაა როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფისათვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. მონიტორინგის შედეგებიდან იკვეთება გარკვეული პრობლემური სფეროები. სწორედ მონიტორინგის და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს ერთის მხრივ ნორმატიული და სისტემური ბაზის გაუმჯობესებას, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს უწევს რიგ საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებას. მაგალითად, სააგენტო გამოსცემს შესყიდვებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებსა და პრაქტიკულ მითითებებს და ეწევა შემსყიდველი ორგანიზაციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებასა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას სააგენტოში არსებულ სასწავლო ცენტრში, რომელიც ფუნქციონირებს 2014 წლის ოქტომბრიდან.

5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

2010 წლის დეკემბრიდან სახელმწიფო ტენდერები ტარდება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ბმული განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://tenders.procurement.gov.ge/login.php ერთიანი ელექტრონული სისტემა წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც არა მხოლოდ ერთმანეთთან აკავშირებს შემსყიდველ ორგანიზაციებს და მიმწოდებლებს, არამედ იძლევა საშუალებას, ელექტრონული ფორმით წარიმართოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, კერძოდ:
ერთიან ელექტრონულ სისტემაში ფიქსირდება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი ხდება შემსყიდველი ორგანიზაციების წლიური გეგმები, სატენდერო განცხადებები და დოკუმენტაციები, მიმწოდებელთა სატენდერო წინადადებები, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, კორესპონდენცია მიმწოდებლებთან, ხელშეკრულებები და შესყიდვებთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია[1] სავალდებულოა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლებისათვის. შესაბამისად, ერთიანი ელექტრონული სისტემით სარგებლობა და ტენდერებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შეუძლია არა მხოლოდ სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციასა და

[1] სისტემაში რეგისტრაციის შესახებ იხ. "სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო", http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/Manuals/SPA_UM.pdf.aspx

მიმწოდებელს, არამედ სტუმრის სტატუსით მოსარგებლე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. ინფორმაციის ღიაობა საშუალებას აძლევს, ერთის მხრივ, საზოგადოებას, იხილოს, თუ რა მიზნებისათვის იქნა გამოყენებული მათ მიერ ბიუჯეტში გადახდილი სახსრები, ხოლო, მეორეს მხრივ, შემსყიდველ ორგანიზაციას, გაითვალისწინოს სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ტენდერები საკუთარი შესყიდვების წარმართვისას.

აღსანიშნავია, რომ შესყიდვების ელექტრონული ფორმით წარმართვით, მიმწოდებლებს აღარ უწევთ ფიზიკური ვიზიტი შემსყიდველ ორგანიზაციაში, რაც თავისთავად ტენდერებს ხდის უფრო მიმზიდველს და მარტივად ხელმისაწვდომს; ყოველივე ზემოაღნიშნული ახდენს გეოგრაფიული უთანასწორობის აღმოფხვრას და მნიშვნელოვნად ამცირებს ტენდერში მონაწილეთა დანახარჯებს, ზრდის კონკურენციის დონეს და საბოლოო ჯამში დადებითად აისახება შესყიდვის შედეგებზე. სისტემის მორიგ უპირატესობას განეკუთვნება ის, რომ მასში ინტეგრირებულია გარკვეული შეცდომების დაშვების პრევენციის მექანიზმები. მაგალითად, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ელექტრონული ტენდერის განცხადება და დოკუმენტაცია არანაკლებ 15 დღე უნდა იყოს გამოქვეყნებული სისტემაში იმისათვის რომ მიმწოდებლებმა შეძლონ განცხადებისა და დოკუმენტაციის გაცნობა, ტენდერის გამოცხადებისას სისტემა არ მისცემს საშუალებას შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილ პირს, განსაზღვროს 15 დღეზე ნაკლები ხანგრძლივობის პერიოდი.

6. შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი

სახელმწიფო შესყიდვა შედგება ქმედებათა ციკლისგან, რომელთა სათანადოდ წარმართვა აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნას სახელმწიფო სახსრების ეფექტიანი ხარჯვა.

შესყიდვების წინამოსამზადებელი ეტაპი წარმოადგენს შესყიდვების პროცესის საწყის ფაზას, რასაც მოსდევს ცალკეული შესყიდვების განხორციელების, შესყიდვის შედეგად გაფორმებული ხელშეკრულების მართვის და განხორციელებული შესყიდვის შეფასების/ანალიზის ეტაპები. შესყიდვის მოსამზადებელ ეტაპში იგულისხმება ნაბიჯები, რომლებიც საჭიროა გადაიდგას შესყიდვების კოორდინატორების და ორგანიზაციის სხვა პასუხისმგებელი პირების მიერ იმისათვის, რომ, უპირველეს ყოვლისა, განხორციელდეს შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავება, ხოლო, შემდეგ ეტაპზე, ყოველი ცალკეული შესყიდვისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. შესყიდვების წლიურ გეგმაში, ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ნებისმიერი შესყიდვის ობიექტი, რომელიც მომავალი საფინანსო წლის განმავლობაში იქნება შესყიდული. ამავდროულად, შესყიდვების წლიურ გეგმაში ფიქსირდება, თუ როდის უნდა აღმოჩნდეს შესყიდვის ობიექტი შემსყიდველი ორგანიზაციის განკარგულებაში, რაც შესყიდვების კოორდინატორებს აძლევს მნიშვნელოვან მინიშნებას, თუ როდის უნდა იქნას დაწყებული ყოველი ცალკეული შესყიდვისთვის ინდივიდუალურად მოსამზადებელი სამუშაოები. მაგალითად, საოფისე ინვენტარის შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები შესაძლებელია დაწყებულ იქნას ორი თვით გვიან, თუ ზემოაღნიშნული ინვენტარი საჭიროა აღმოჩნდეს ორგანიზაციის განკარგულებაში არა აგვისტოს ბოლოს, არამედ ნოემბრის თვის დასაწყისში.

6.1. ბაზრის კვლევა და მიმწოდებელთა გამოკითხვა

შესყიდვების წლიური გეგმის შემუშავების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, იწყება წინამოსამზადებელი სამუშაოების წარმართვა ყოველი ცალკეული შესყიდვისათვის ინდივიდუალურად. შესყიდვის ინდივიდუალური დაგეგმვა წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების უწყვეტ პროცესს იმის შესახებ, თუ რა მახასიათებლების საქონელი თუ მომსახურება უნდა იქნას შესყიდული, როდის და რა პროცედურებით უნდა წარიმართოს შესყიდვები, იმისათვის, რომ შესყიდვის ობიექტი საჭირო დროს და საჭირო რაოდენობით აღმოჩნდეს შემსყიდველი ორგანიზაციის განკარგულებაში. როგორც წესი, შესყიდვის ინდივიდუალური დაგეგმვა შესაბამისი მიწოდების ბაზრის მოკვლევით იწყება, რომლის ამოცანასაც შესყიდვის ობიექტის ხელმისაწვდომობა, ფასები, მიწოდების პირობები, მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო, მათი შესაძლებლობები, შესყიდვის პროცედურებში მონაწილეობის ინტერესი და შესყიდვის წარმატებულად განხორციელებისათვის სხვა საჭირო ინფორმაციის მიღება განეკუთვნება. ბაზრის მოკვლევისათვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას ინტერნეტში, მიმწოდებლების

კატალოგებში/პრეისკურანტებში და ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია; გარკვეულ კითხვებზე პასუხის მიღება შეიძლება როგორც სხვა მომხმარებლების, ასევე პოტენციური მიმწოდებლების უშუალო გამოკითხვითაც. მაგალითად, მიწოდების ბაზრის მოკვლევის შედეგად, შესაძლებელია, შემსყიდველმა ორგანიზაციამ აღმოაჩინოს, რომ მისი შესყიდვის მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება რეგიონში მომუშავე მიმწოდებლების ზოგად შესაძლებლობებს (რომელთა შეფასების ინდიკატორს წლიური ბრუნვა განეკუთვნება). შედეგად, დიდი მოცულობისა და მაღალი სავარაუდო ღირებულების ტენდერის გამოცხადება წარმოქმნის რისკს, რომ ადგილობრივი მიმწოდებლები ვერ შეძლებენ ტენდერში მონაწილეობის მიღებას, რაც, სავარაუდოდ, უარყოფითად იმოქმედებს ტენდერში პრეტენდენტების რაოდენობასა და შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულებაზე. ამისგან განსხვავებით, შესყიდვის ეტაპობრივად წარმართვა მისცემს მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს ტენდერში მონაწილეობის საშუალებას, რაც, როგორც წესი, დადებითად აისახება ტენდერში პრეტენდენტების რაოდენობასა და ერთეულის ფასზე.

6.2. რა მნიშვნელობა ენიჭება მოთხოვნების სწორად ჩამოყალიბებას

შესყიდვის ინდივიდუალურად დაგეგმვის დროს ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების ჩამოყალიბება როგორც შესყიდვის ობიექტის, ასევე პოტენციური მიმწოდებლების მიმართ. მიმწოდებლების მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები ემსახურება იმას, რომ თავიდანვე განისაზღვროს, თუ რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაითვლება მიმწოდებელი მცოდნედ, ფინანსურად და ტექნიკურად აღჭურვილად და სანდოდ. ყოველი ცალკეული მოთხოვნის განსაზღვრისას, შემსყიდველმა ორგანიზაციამ წინასწარ უნდა გაანალიზოს, თუ რა მიზნით ფიქსირდება სატენდერო დოკუმენტაციაში ცალკეული მოთხოვნა. მოთხოვნების წაყენებისას აუცილებელია, დაცული იქნას ობიექტურობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპები, რაც გულისხმობს წაყენებული მოთხოვნების შესყიდვის ობიექტთან პირდაპირ და ზომიერად პროპორციულ კავშირს. შესაბამისად, ცალკეული მოთხოვნები უნდა განისაზღვროს შემთხვევისებრ, შესყიდვის ობიექტის მოცულობის, სირთულის, მიწოდების ვადის, გადახდის პირობებისა და შესყიდვის სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით[2].

---

[2] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია საკვალიფიკაციო და ტექნიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. რეკომენდაციის სანახავად იხილეთ: http://www.procurement.gov.ge/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi.aspx

შესყიდვის წარმატებულად განხორციელების მორიგ წინაპირობას შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების - სპეციფიკაციების ადეკვატურად განსაზღვრა განეკუთვნება. გამართული სპეციფიკაციების როლი შესყიდვის წარმატებულად განხორციელებაში ძალზედ მნიშვნელოვანია ვინაიდან სპეციფიკაციები პოტენციურ მიმწოდებლებს აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა ობიექტის შესყიდვა სურს შემსყიდველს.

აქედან გამომდინარე, სპეციფიკაციები უნდა იყოს მარტივად გასაგები პოტენციური მიმწოდებლებისთვის.

იმისათვის რომ სპეციფიკაციები მარტივად გასაგები იყოს შემსყიდველმა სპეციფიკაციების გაწერისას უნდა დაიცვას სამი აუცილებელი პირობა. კერძოდ:

- **კონკურენტული** - არ შეიძლება სპეციფიკაციების რომელიმე კონკრეტულ ბრენდზე ან მოდელზე მორგება, იქნება ეს კონკრეტული ბრენდის/მოდელის მითითებით, თუ მაგალითად, შესყიდვის ობიექტის ისეთი ზომების მითითებით, რომელსაც მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ბრენდი ან მოდელი აკმაყოფილებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სპეციფიკაციები არ უნდა ზღუდავდეს კონკურენციას;

- **გასაგები და არაორაზროვანი** - სპეციფიკაცია უნდა ასახავდეს შესყიდვის ობიექტს ისე, რომ შეუძლებელი იყოს პოტენციურ მიმწოდებელთა მხრიდან მისი ორაზროვანი ინტერპრეტირება. სპეციფიკაცია პოტენციურ მიმწოდებელს უნდა აწვდიდეს ამომწურავ ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, რათა პოტენციურმა მიმწოდებლებმა შეძლონ სატენდერო წინადადების ფასის ადეკვატურად განსაზღვრა. ამასთან, სპეციფიკაციები არ უნდა შეიცავდნენ ზედმეტ დეტალებს, რომლებიც არარელევანტურია შესყიდვის ობიექტთან.

- **შინაარსობრივად გამართული** - სპეციფიკაციების შემუშავებისას გამოყენებული უნდა იქნას ტერმინოლოგია, რომელიც გასაგები იქნება ყველა პოტენციური მიმწოდებლისათვის. ტექსტი უნდა იყოს გრამატიკულად გამართული და არ უნდა შეიცავდეს გაუგებარ ტერმინოლოგიას, ორაზროვან ჩანაწერებს და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია სპეციფიკაციებს დაურთოს დამატებითი განმარტებები, რათა ისინი მაქსიმალურად მარტივად გასაგები იყოს პოტენციური მიმწოდებლებისათვის.

შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე, სპეციფიკაცია შესაძლებელია იყოს როგორც მარტივი, ასევე კომპლექსური. შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია შეიცავდეს ტექსტურ მასალებს, გეგმებს, ნახაზებს, ესკიზებს, ნორმებს, სტანდარტებს და სხვა მოთხოვნებს. შესყიდვაში საუკეთესო შედეგის მისაღებად, საჭიროა შემსყიდველმა ორგანიზაციამ იპოვოს ოპტიმალური ბალანსი შემდეგ ორ უკიდურესობას შორის: შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების და საჭიროებების არასათანადოდ შეფასება. რაც გულისხმობს იმ ალტერნატივების დაშვებას, რომლებიც შეუსაბამობაშია შემსყიდველი ორგანიზაციის რეალურ საჭიროებებთან. შედეგად, ხორციელდება საქონლის/მომსახურების შესყიდვა, რომელიც შეუსაბამობაშია ორგანიზაციის საჭიროებასთან. ამისგან განსხვავებით, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გადაჭარბებულად შეფასება განაპირობებს შესყიდვის ობიექტის მიღებას, რომელიც აღემატება ორგანიზაციის მოთხოვნებს, რაც თანხის არაეფექტურად ხარჯვის ტოლფასია. სპეციფიკაციებთან მიმართებაში, ობიექტურობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებიდან გამომდინარე, საჭიროა სპეციფიკაციები განისაზღვროს ნეიტრალურად - სპეციფიკაციები საჭიროა თანაბარ მდგომარეობაში აყენებდნენ ნებისმიერ პოტენციურ მიმწოდებელს, რომელსაც შეუძლია შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების დაკმაყოფილება. როგორც წესი, შესყიდვის ობიექტის თვისობრივ მახასიათებლებსა და მოსალოდნელ შედეგებზე

ფოკუსირება აფართოებს საჭიროების დაკმაყოფილებისათვის მისაღებ ალტერნატივებს და, შედეგად, პოტენციურ მიმწოდებელთა ბაზას. მაგალითად, შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებაა გარკვეული მოცულობისა და წონის ტვირთის A პუნქტიდან B პუნქტში გადაადგილება. შედეგებზე ფოკუსირებული სპეციფიკაციით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: კონკრეტული (მითითებული) მოცულობისა და მასის ტვირთის გადაადგილება საჭიროა განხორციელდეს ერთი საათის განმავლობაში ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით, რომელშიც დაცული იქნება გარკვეული (მითითებული) უსაფრთხოების სტანდარტები. ამისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად შემცირდება პოტენციური მიმწოდებლების ბაზა, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია მიუთითებს სატრანსპორტო საშუალების ტიპს (მაგ. არანაკლებ 5ტ. ტვირთამწეობის მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალება)[3].

გარდა შესყიდვის ობიექტის და მიმწოდებელთა მიმართ წაყენებული მოთხოვნებისა, სატენდერო დოკუმენტაცია საჭიროა შეიცავდეს ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც იდება ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან. ხელშეკრულების პროექტის სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადების აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი დაინტერესებული პირი საჭიროა წინასწარ ფლობდეს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა, მაგალითად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობები და ა.შ.

მიწოდების ბაზრის კვლევისგან განსხვავებით, რომლის დროსაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტაცია და ინფორმაციის მეორადი წყაროები (მაგალითად ინტერნეტის გამოყენების საშუალებით), შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპზე შესაძლებელია მიმწოდებლებთან ე. წ. ღია კარის დღეების მოწყობაც. აღნიშნული შეხვედრები გულისხმობს ინფორმაციის მიღებას

[3] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაცია შესყიდვის ობიექტის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, http://www.procurement.gov.ge/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi.aspx

პოტენციურ მიმწოდებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის საშუალებით. ღია კარის დღის ჩატარების მიზანს შესაძლებელია განეკუთვნებოდეს მაგალითად ის, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია კიდევ ერთხელ დარწმუნდეს იმაში, რომ ტენდერში მონაწილეობის ბარიერები დაყვანილია მინიმუმამდე. მაგალითად, მიმწოდებლებთან ღია კარის დღეზე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესაძლებელია აღმოაჩინოს, რომ სატრანსფორმატორო ქვესადგურის მშენებლობაზე სპეციალიზებული კომპანიების საქმიანობის სფეროს არ განეკუთვნება, მაგალითად, ელექტროხაზების მშენებლობა. შესაბამისად, სატრანსფორმატორო ქვესადგურის და ელექტროხაზების მშენებლობის ერთი ტენდერის საშუალებით შესყიდვა წარმოქმნის რისკს, რომ ტენდერი არ შედგება და შესყიდვით განსაზღვრული მიზანი თუნდაც გარკვეული დროის განმავლობაში აღმოჩნდება შეუსრულებელი. გასათვალისწინებელია, რომ ღია კარის დღეები უნდა წარიმართოს ღია და გამჭვირვალე გარემოში, რაც ნიშნავს იმას, რომ ინფორმაცია ღია კარის დღის მოწყობის შესახებ საჭიროა ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი პოტენციური მიმწოდებლისათვის და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უნდა შეეძლოს ღია კარის დღეზე დასწრება.

6.3. რა არის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა და ePLAN მოდული

ნებისმიერი შემსყიდველი ორგანიზაცია, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. გამონაკლისებს მიეკუთვნებიან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციები, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. აღნიშნული შემსყიდველი ორგანიზაციები მხოლოდ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებს ამტკიცებენ შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებამდე და არეგისტრირებენ ePLAN-ში, დამტკიცებიდან 30 დღის ვადაში.

შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდ-ვების წლიური გეგმის შექმნასა და რეგისტრაციას ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ePLAN მოდულში[4]. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველს საშუალება აქვს მოახდინოს შესყიდვების გეგმის კორექტირება, რაც ასევე ხორციელდება ePLAN მოდულში. ყოველი შემდეგი წლის შესყიდვების გეგმას შემსყიდველი ორგანიზაცია არეგისტრირებს მიმდინარე წლის არა უგვიანეს 20 ნოემბრისა. ამასთან, ორგანიზაციის დაფუძნების შემთხვევაში, სავალდებულოა ახლად შექმნილმა ორგანიზაციამ ePLAN-ში გეგმა დაარეგისტრიროს დაფუძნების თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს 20 რიცხვისა.

[4] გეგმის რეგისტრაციისათვის იხ. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო, http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/Manuals/SPA_UM.pdf.aspx

გახსოვდეთ!

შემსყიდველმა ორგანიზაციებმა ePLAN მოდულში შესყიდვების წლიური გეგმის რეგისტრაციისას აუცილებლად უნდა დააჭიროთ ღილაკს ,,რეგისტრაცია“, წინააღმდეგ შემთხვევაში ePLAN-ში გეგმა წარმოდგენილი იქნება პროექტის სახით და ასეთი სახით წარმოდგენილი გეგმა არ ითვლება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილად. გეგმის სააგენტოში წარდგენად ითვლება მისი რეგისტრაცია ePLAN მოდულში.

ePLAN მოდულში გეგმის რეგისტრაციამდე შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ განსაზღვრავს მის საჭიროებას, ითვალისწინებს გასულ წლებში განხორციელებული მსგავსი ტიპის შესყიდვებიდან მიღებულ გამოცდილებას, განსაზღვრავს შესყიდვის განხორციელების სავარაუდო ვადებს, ადგენს სავარაუდო ღირებულებას და ახდენს ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებას. შესყიდვის ობიექტების წლიურ გეგმაში ასახვა ხორციელდება ერთგვაროვნების პრინციპის გათვალისწინებით, ხოლო ერთგვაროვნება დგინდება სპეციალური კლასიფიკატორით, ე. წ. CPV კოდების გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ ორი შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრი იდენტურია, მაშინ ითვლება, რომ ეს ორი შესყიდვის ობიექტი განეკუთვნება ერთგვაროვან ობიექტებს. მაგალითად, შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18113000 (საწარმოო ტანსაცმელი) და შესყიდვის ობიექტი 8-ნიშნა კოდით: 18114000 (კომბინიზონები/სპეცტანსაცმელი) შედიან ერთ დანაყოფში (18100000 სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები), რადგან ორივე ობიექტის 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი (181) იდენტურია. შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვის ობიექტები წარმოადგენენ შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს. წლის განმავლობაში შესასყიდი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულებით განისაზღვრება, თუ რომელი შესყიდვის საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის დროს. წლიური გეგმის შედგენისას შემსყიდველმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტის დადგენასა და შესყიდვის საშუალების განსაზღვრაზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში მონეტარული ზღვრის დარღვევა და/ან გეგმაში შესყიდვების ხელოვნურად დაყოფა, რომელიც გამოიწვევს შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდებას, რომლებიც დადგენილია საქართველოს კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

გახსოვდეთ!

შესყიდვების წარმართვისთვის გამოსაყენებელი საშუალება (მაგ. ელექტრონული ტენდერი, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი) განისაზღვრება ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების წლიური გეგმის ჯამური ღირებულების მიხედვით და შესყიდვის საშუალების ცვლილება დაუშვებელია შესყიდვის ეტაპობრივად წარმართვის შემთხვევაში. მაგალითად, ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების წლიური გეგმის ჯამური ღირებულება შეადგენს 300,000 ლარს. კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის აღნიშნული ობიექტების სამჯერ 100,000-იანი ტენდერის, ეტაპობრივად შესყიდვის შემთხვევაშიც, საჭიროა გამოყენებულ იქნას ელექტრონული ტენდერები და არა გამარტივებული ელექტრონული ტენდერები.

7. გამარტივებული შესყიდვა

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები ხორციელდება 5 განსხვავებული შესყიდვის საშუალების გამოყენებით, რომელთა შერჩევა, კონკრეტული შესყიდვის დროს, დამოკიდებულია შესყიდვის ობიექტის ღირებულაბასა და თავისებურებაზე. სამ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ შესყიდვის საშუალებას განეკუთვნება: გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული შესყიდვა. ჩამოთვლილი 3 შესყიდვის საშუალების გარდა შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ, გარკვეული შესყიდვის ობიექტები შეისყიდონ კონსოლიდირებული ტენდერის ან კონკურსის მეშვეობით[5].

2014 წელს გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება დაახლოებით 916 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც იმავე წელს მთლიანად სახელმწიფო შესყიდვებზე დახარჯული თანხის 32% შეადგენს.

გამარტივებული შესყიდვისას შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს პირდაპირი შესყიდვის გზით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების გარეშე, რაც შემსყიდველს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში მიიღოს მისთვის საჭირო ობიექტი. როგორც წესი, გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება 5,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შეძენისას, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების

[5] კონსოლიდირებული ტენდერისა და კონკურსის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს შემდეგ თავებში.

მიერ 50,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვისას, აგრეთვე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელების შემთხვევაში, თუ ასეთი შესყიდვის ღირებულება არ აღემატება 20,000 ლარს. გარდა ჩამოთვლილი შემთხვევებისა, გამარტივებული შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს სხვა გამონაკლის შემთხვევებშიც; ასეთ გამონაკლის შემთხვევებს განეკუთვნება გარემოება როდესაც:

- შესასყიდი საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა, ან სამშენებლო სამუშაოების შესრულება ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და ამავდროულად, არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ისეთი ალტერნატივა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვის ობიექტის ჩანაცვლება;
- შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ შესასყიდი ობიექტის მოცულობა და ვადა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის გადასაჭრელად საჭირო შესყიდვის მოცულობასა და ვადას;
- წარსულში შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან ამ ობიექტის ექსპლუატაციის მიზნით აუცილებელია, რომ შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისგან. ასეთ შემთხვევაში დაუშვებელია, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატებოდეს თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
- საჭიროა საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება შეზღუდულ ვადებში; ასეთ ღონისძიებას განეკუთვნება: ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური, თავდაცვითი, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სხვა საჯარო მიზნების მისაღწევად გამართული ღონისძიებები;
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების, კომპიუტერული ტექნიკის და ასევე, შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული

[6] წარმომადგენლობით ხარჯებად ითვლება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე ნაწილით განსაზღვრული ხარჯები.

ელექტროდანადგარების ჩანაცვლება;

- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხდება წარმომადგენლობით ხარჯებთან[6] დაკავშირებული შესყიდვის განხორციელება;
- შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.
- ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურება და საჭირო სათადარიგო ნაწილებისა თუ საცხებ-საპოხი მასალების შესყიდვა.

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვა თავის თავში არ გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის სრულ დამოუკიდებლობას მის ქმედებებში შესყიდვის განხორციელებისას. შემსყიდველს ვალდებულება აქვს გაითვალისწინოს გამარტივებული შესყიდვის წარმართვის საფუძვლები და დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი ნორმები[7];

2015 წლის პირველი ნოემბრიდან, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარტივებული შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილება, ხელშეკრულების დადებამდე, შეათანხმოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან, თუ გამარტივებული შესყიდვა ტარდება: ექსკლუზიური უფლების, გადაუდებელი აუცილებლობის, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში ჩატარების საფუძვლებით. გამარტივებული შესყიდვის განხორციელების უფლების მისაღებად შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა მიმართოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულში დასაბუთებული მიმართვის წარდგენის გზით. მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაცია წარადგენს მიმართვას, სააგენტოს მიერ თანხმობის გაცემამდე ან მის უარყოფამდე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით საშუალება აქვს, წარადგინოს მისი პოზიცია მიმართვაზე. გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო იხილავს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვას, ასევე დაინტერესებული პირების მიერ მასზე დაფიქსირებულ მოსაზრებებს 3 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდეგაც არანაკლებ 2 და არაუმეტეს 3 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის გამარტივებული შესყიდვის ნებართვის მინიჭებაზე ან მიმართვის დაუკმაყოფილებლობაზე.

---

[7] იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/Sesyidvebis_Sesaxeb.pdf.aspx, ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/brZaneba_N9.pdf.aspx და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/gamartivebuli_Sesyidvis_Catarebis_wesi.pdf.aspx

>5000 GEL

გახსოვდეთ!

შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დადების უფლება წარმოეშობა მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის მიღების შემთხვევაში. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ მოიპოვებს თანხმობას, იგი ვალდებული იქნება, წარმართოს შესყიდვის პროცედურები კანონით დადგენილი პროცედურების თანახმად.

8. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ელექტრონული ტენდერი

ალბათ ბევრს გასჩენია კითხვა იმის შესახებ, თუ რისთვის არის საჭირო ტენდერის ჩატარება და ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურების დაცვა, რომლებიც თავის მხრივ დროსა და დამატებით ადამიანურსა თუ მატერიალურ რესურსებს მოითხოვს, მაშინ როდესაც ნებისმიერი საჭირო ობიექტის შეძენა მარტივად და უმოკლეს ვადებში შესაძლებელია ერთ მიმწოდებელთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით. პასუხი კითხვაზე მარტივია: ღია ტენდერი წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით აპრობირებულ შესყიდვის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროების შესახებ ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. გამომდინარე აქედან, როგორც წესი, ღია ტენდერი უზრუნველყოფს კონკურენციის მაღალ დონეს და შესყიდვის ობიექტის ფასისა და

ხარისხის უკეთეს თანაფარდობას. გარდა ამისა, ღია ტენდერებში დაცულია გამჭვირვალეობის პრინციპები, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას განახორციელოს სახელმწიფო სახსრების ხარჯვის კონტროლი.

2010 წლიდან, საქართველოში ტენდერები ტარდება ელექტრონული ფორმით, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებში ჯანსაღ კონკურენციასა და შესყიდვების გამჭვირვალეობის მაღალ დონეს უზრუნველყოფს. შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინტეგრირებული შესყიდვის საშუალებებიდან შეგვიძლია განვასხვავოთ სამი ერთმანეთისგან განსხვავებული ელექტრონული ტენდერის ტიპი, რომელთაც განეკუთვნება: გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ელექტრონული ტენდერი და კონსოლიდირებული ტენდერი[8].

2014 წელს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებულმა სახელმწიფო შესყიდვების მთლიანმა სავარაუდო ღირებულებამ დაახლოებით 1,95 მილიარდი ლარი, ხოლო, სახელშეკრულებო ღირებულებამ დაახლოებით 1,7 მილიარდი ლარი შეადგინა. საერთო ჯამში, 2014 წლის განმავლობაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისას სისტემის მეშვეობით დაზოგილ იქნა დაახლოებით 250 მილიონი ლარის ოდენობის სახელმწიფო ფულადი სახსრები, ხოლო, 2011 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერების მეშვეობით დაიზოგა დაახლოებით 820 მილიონი ლარი.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის გამოცხადება დამოკიდებულია მონეტარულ ზღვრებზე, ანუ წლის განმავლობაში ერთგვაროვანი შესასყიდი ობიექტებისს ჯამურ სავარაუდო ღირებულებაზე; კერძოდ:

---

[8] კონსოლიდირებული ტენდერის შესახებ ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-10 თავში.

- ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სავალდებულოა მხოლოდ 200,000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას;
- შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოაცხადოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 200,000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას.

ელექტრონულ ტენდერსა და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს მიმდინარეობის ხანგრძლივობებში. ელექტრონული ტენდერის მინიმალური ხანგრძლიობა შეადგენს არანაკლებ 20 დღეს. აქედან პირველი 15 დღის განმავლობაში პოტენციურ მიმწოდებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას და მომდევნო 5 დღის განმავლობაში წარადგინონ მათი სატენდერო წინადადებები. ელექტრონული ტენდერისგან განსხვავებით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მინიმალური ხანგრძლივობა ჯამში შეადგენს არანაკლებ 3 დღეს. აქედან პირველი დღე განკუთვნილია სატენდერო პირობების გასაცნობად, ხოლო დარჩენილ 2 დღის ვადაში მიმწოდებლები წარადგენენ სატენდერო წინადადებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ტენდერების მინიმალურ ხანგრძლივობებს ადგენს შემსყიდველი ორგანიზაცია პოტენციური მიმწოდებლების

მხრიდან სატენდერო წინადადების შემუშავებისათვის საჭირო პერიოდის გათვალისწინებით. შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვის გააჩნია შესაძლებლობა, ტენდერის მიმდინარეობის ხანგრძლივობად განსაზღვროს კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ ვადებზე უფრო ხანგრძლივი პერიოდიც. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერსა და ელექტრონულ ტენდერს შორის მდგომარეობს იმაში, რომ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს შესაბამისად დასაბუთებული შემსყიდველის მიერ. ასეთ გამონაკლის შემთხვევაშიც, საკვალიფიკაციო მოთხოვნების რაოდენობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური.

გახსოვდეთ!

გამონაკლის შემთხვევებში, მთავრობის სამართლებრივი აქტით შესაძლებელია ერთი საბიუჯეტო წლის მანძილზე დადგინდეს 200,000 ლარის ან 200,000 ლარზე მეტი ღირებულების მქონე შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების გამარტივებული ელექტრონული ტენდერით შესყიდვის განხორციელების უფლება. ასეთ გამონაკლის შემთხვევებს შესაძლებელია განეკუთვნებოდეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებების ჩატარება შეზღუდულ ვადებში.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერის გამოცხადებისას ერთიან ელექტრონულ სისტემაში ივსება შესაბამისი სატენდერო განაცხადი[9] და ამის შემდეგ შემსყიდველი ტვირთავს მის მიერ მომზადებულ სატენდერო დოკუმენტაციას. სატენდერო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს საკვალიფიკაციო და ტექნიკურ მოთხოვნებს შემსყიდველის მიმართ, შესყიდვის ობიექტის აღწერას (სპეციფიკაციებს), შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადებსა და ადგილს, ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებსა და სხვა დეტალურ ინფორმაციას შესყიდვის შესახებ, რომელიც პოტენციურ მიმწოდებლებს დაეხმარებათ ზუსტად

[9] სატენდერო განცხადების შევსების წესი განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/brZaneba_N9.pdf.aspx

განსაზღვრონ შემსყიდველის საჭიროება[10]. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც რთულად გასაგებია პოტენციური მიმწოდებლებისთვის, ამ უკანასკნელებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული კითხვა პასუხის მოდულით. კითხვა პასუხის მოდულში მიმწოდებლის მიერ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულოა შემსყიდველებისთვის და ასეთი პასუხი ავტომატურად ხდება სატენდერო დოკუმენტაციის ნაწილი, რაც თავისთავად ერთის მხრივ, ამარტივებს შემსყიდველსა და მიმწოდებლებს შორის კომუნიკაციას, ხოლო, მეორეს მხრივ კომუნიკაციას ხდის საჯაროს.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს და ელექტრონულ ტენდერს ატარებს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისია, რომელიც უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრით. კომისიის წევრი შესაძლებელია იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მისი მოადგილეები და შემსყიდველი ორგანიზაციის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები. თუ, ასეთ პირთა რაოდენობა არასაკმარისია სატენდერო კომისიის შესაქმნელად, კომისიის წევრებად შესაძლებელია დაინიშნონ შემსყიდველი ორგანიზაციის სხვა თანამშრომლებიც. სატენდერო კომისიას თავმჯდომარეობს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ არჩეული პირი. ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით (ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა)[11].

---

[10] სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის წესი განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/Sesyidvebis_Sesaxeb.pdf.aspx

[11] გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის პროცედურების შესახებ იხ. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/Sesyidvebis_Sesaxeb.pdf.aspx და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/brZaneba_N9.pdf.aspx

9. კონკურსი

კონკურსი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიულ საშუალებას, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, შეისყიდოს საპროექტო ან/და სახარჯთაღრიცხვო მომსახურება, მათ შორის, დიზაინერული, დაგეგმარების, არქიტექტურული და საინჟინრო გეგმები ან პროექტები. ქვემოთ მოყვანილია კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები[12].

კონკურსის შესყიდვის სხვა საშუალებებისგან (მაგალითად, ტენდერებისგან) განსხვავებული რეგულირება განპირობებულია მისი შესყიდვის ობიექტის სპეციფიური ხასიათითა და სპეციფიკაციების განსაზღვრის სირთულით. მაგალითად, შეუძლებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ ზუსტად განსაზღვროს მოთხოვნები პროექტის დიზაინის მიმართ. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს ძირითად შესყიდვის ობიექტებთან შედარებით პრეტენდენტების შეფასების განსხვავებულ პროცედურებს - კონკურსის შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ საშუალება, საკონკურსო წინადადების ფასთან ერთად, განსაზღვროს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, მათ შორის, ხარისხის, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კრიტერიუმები (სუბიექტური კრიტერიუმები დაუშვებელია ელექტრონული ტენდერების შემთხვევაში).

---

[12] რეგულაციის დეტალების გასაცნობად, დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის შესაბამის ბრძანებას, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე http://www.procurement.gov.ge/ELibrary/LegalActs.aspx

მაგალითად, კრიტერიუმი „საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება“ თვლადი, ობიექტური კრიტერიუმია. ამისგან განსხვავებით, კრიტერიუმი „არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე“ სუბიექტურ კრიტერიუმებს განეკუთვნება, რომლის შეფასებაც საჭიროა განხორციელდეს საკონკურსო კომისიის შეხედულებისამებრ, კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულის საშუალებით. ისევე, როგორც ტენდერების შემთხვევაში, საკონკურსო დოკუმენტაცია შესაძლებელია შეიცავდეს მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვის ობიექტი, პრეტენდენტი ან/და მისი ტექნიკური წინადადება უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს და ამ მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა იწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. მაგალითად, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის მიზეზი შესაძლებელია გახდეს პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნებთან შეუსაბამო კვალიფიკაცია. საკონკურსო დოკუმენტაცია შესაძლებელია ასევე შეიცავდეს ისეთ მოთხოვნას, რომელიც გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციით დადგენილი გარკვეული პირობის/პირობების შესრულებას და პრეტენდენტის მიერ პირობის შეუსრულებლობა არ იწვევს მის დისკვალიფიკაციას. ასეთ შემთხვევაში, თუ ტექნიკური წინადადება ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ პირობას/პირობებს, ტექნიკური წინადადების ხარისხის შეფასება კლებულობს საკონკურსო დოკუმენტაციაში წინასწარ განსაზღვრული პროცენტული ოდენობის შესაბამისად. მაგალითად, თუ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უფრო ფასეულია ისეთი მიმწოდებელი, რომელსაც საწარმოში აქვს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა, შესაძლებელია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განისაზღვროს სათანადო მოთხოვნა, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრეტენდენტის ხარისხის კომპონენტის შეფასება იკლებს, მაგალითად, 3%-ით.

ცხადია, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტებს სხვადასხვა კრიტერიუმების საშუალებით აფასებს, შესაძლებელია, რომ ზოგიერთი კრიტერიუმი უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა კრიტერიუმებთან შედარებით. სწორედ ამიტომ, კონკურსების შესაბამისი რეგულაციის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა განსაზღვროს ე.წ. „პრიორიტეტების მაჩვენებლები“ კრიტერიუმების ხვედრითი წონების სახით - რაც უფრო მაღალი ხვედრითი წონა ენიჭება კრიტერიუმს, მით უფრო მნიშვნელოვანია ის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. მაგალითად, თუ კრიტერიუმი „საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება“ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კრიტერიუმი „არქიტექტურულ-ესკიზური ვიზუალური მხარე“, მაშინ აღნიშნული ხარისხობრივი კრიტერიუმების წონებად შესაძლებელია განისაზღვროს, მაგალითად, შესაბამისად, 0.7 და 0.3. ანალოგიურად, პრიორიტეტულობის მაჩვენებელი განისაზღვრება მთლიანად ხარისხის ჯამურ შეფასებასთან და საკონკურსო წინადადების ფასთან მიმართებითაც - ამით შემსყიდველ ორგანიზაციას საშუალება ეძლევა, მისი საჭიროების შესაბამისად, მიაღწიოს ხარისხისა და ფასის ოპტიმალურ შეფარდებას. კრიტერიუმების განსაზღვრისას გასათვალისწინებელია, რომ როგორც ხარისხობრივი კრიტერიუმების ხვედრითი წონების ჯამი, ასევე ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის პრიორიტეტების ჯამი უნდა შეადგენდეს ერთ მთელს. მაგალითად, თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ განსაზღვრა ხარისხის სამი კრიტერიუმი, რომელთა ხვედრითი წონებია 0.3, 0.4 და 0.5, მაშინ საჭიროა

რომელიმე კრიტერიუმ(ებ)ის წონები სათანადოდ შემცირდეს, ვინაიდან 0.3+0.4+0.5 აღემატება ერთ მთელს. ანალოგიურად, თუ ფასის პრიორიტეტად განისაზღვრა 0.6 და ამავდროულად ხარისხის პრიორიტეტად 0.7, მაშინ საჭიროა განხორციელდეს აღნიშნული წონების შემცირება იქამდე, სანამ განსაზღვრული პრიორიტეტების ჯამი არ გაუტოლდება ერთ მთელს.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან იკვეთება, რომ კონკურსის მიმდინარეობის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაცია, პირველ ეტაპზე, ახორციელებს ხარისხის შეფასებას, ხოლო შემდეგ ეტაპზე საკონკურსო წინადადების ფასის გათვალისწინებას საუკეთესო წინადადების ფასის წარმდგენი პრეტენდენტის გამოვლენისათვის. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს იქედან, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია შესაბამისი რეგულაციით ვალდებულია, განახორციელოს პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციების შეფასება მათ მიერ წარდგენილი ფასების ცოდნის გარეშე. აღნიშნულ რეგულაციას კი, თავისთავად, განაპირობებს ის, რომ კონკურსში, როგორც წესი, პრეტენდენტების შეფასებისათვის გამოიყენება სუბიექტური კრიტერიუმები.

შედეგად, პრეტენდენტის სუბიექტური კრიტერიუმების საშუალებით შეფასებისას, საზოგადოებას გაცილებით მეტი ნდობა უჩნდება სისტემისა და საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიმართ, როდესაც ხარისხობრივი პარამეტრების შეფასებისას საკონკურსო წინადადებების ფასების ანონიმურობა დაცულია ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ. კონკურსების წარმართვის რეგულაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე[13].

[13] http://www.procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/LegalActs/konkursis_Catarebis_wesi.pdf.aspx

10. კონსოლიდირებული ტენდერი

იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციებს ესაჭიროებათ ერთნაირი ან მსგავსი ტიპის საქონლის შესყიდვა, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული რომ ასეთი შესყიდვები განხორციელდეს ცენტრალიზებულად, რაც გულისხმობს ტენდერების გამოცხადებას არა ცალკეული შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ, არამედ კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებას საქართველოს მთავრობის მიერ. კონსოლიდირებული ტენდერი მაქსიმალურად ხელს უწყობს სახელმწიფო სახსრების რაციონალურ ხარჯვას. მხოლოდ 2014 წლის განმავლობაში 3 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ბიუჯეტიდან დაზოგილმა თანხამ 34 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა[14].

კონსოლიდირებული ტენდერების არსებობა იწვევს შემსყიდველი ორგანიზაციების ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების გამოთავისუფლებას შესყიდვებთან

[14] იგულისხმება ნავთობპროდუქციის (საწვავის), სტანდარტული კომპიუტერების და საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერები.

დაკავშირებული ფორმალური პროცედურებისგან. გარდა ამისა, კონსოლიდირებული ტენდერის არარსებობის დროს, შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ცხადდებოდა ინდივიდუალური ტენდერები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში მოცულობით არ იყო მიმზიდველი პოტენციური მიმწოდებლებისათვის, რაც იწვევდა დაბალ კონკურენციას და განაპირობებდა არშემდგარი ტენდერების სიმრავლეს. კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების მიზნით საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის განკარგულებას და კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებისა და მათი შემდგომი ორგანიზების მიზნით ქმნის სატენდერო კომისიას. საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ახორციელებს კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიის ორგანიზაციულ საქმიანობას.



სატენდერო კომისია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან ერთად ახორციელებს სატენდერო პირობების შემუშავებას, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას, კონსოლიდირებული ტენდერების გამოცხადებას, გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენას და შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ძირითადი პირობების განსაზღვრას. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის შემდეგ თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია აფორმებს გამარჯვებულ პრეტენდენტთან შესყიდვის ცალკეულ ხელშეკრულებებს[15], რომელთაც 10 სამუშაო დღის განმავლობაში ატვირთავს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში. სატენდერო კომისია ასევე ახორციელებს კონსოლიდირებული ტენდერების მიმდინარეობის მონიტორინგსა და ანალიზს. უზრუნველყოფს სატენდერო დოკუმენტაციითა და შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილი პირობების დაცვას.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ის შესყიდვის ობიექტი, რომელზეც გამოცხადებულია კონსოლიდირებული ტენდერი, შეისყიდოს მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით. ზემოაღნიშნული შესყიდვის ობიექტების შეძენა კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ შესაძლებელია ა) სატენდერო დოკუმენტაციებით დადგენილ გამონაკლის

[15] ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან თავიანთ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ ის ძირითადი პირობები, რომლებიც დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციითა და კონსოლიდირებული ტენდერებთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობით.

შემთხვევებში - სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე, ბ) გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის დროს და გ) უცხო ქვეყანაში მოღვაწე სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევებში. ამასთან, გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში საჭიროა შემსყიდველი ორგანიზაციის ზემდგომი პირის ან კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა. შემსყიდველი ორგანიზაცია ზემდგომის თანხმობის წერილს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის წერილთან ერთად, ცნობის სახით, უგზავნის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას. აღსანიშნავია, რომ კომისია თანხმობას არ გასცემს გადაუდებელ აუცილებლობით გამოწვეულ შესყიდვებზე. ზემოაღნიშნულზე პასუხისგებლობა სრულად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციასა და მის ზემდგომ პირს.

2013, 2014 და 2015 წლებში კონსოლიდირებული ტენდერები გამოცხადდა 4 ტიპის საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე, კერძოდ: საწვავზე (ევრორეგულარი, პრემიუმი, სუპერი, დიზელი, ევროდიზელი), სტანდარტულ კომპიუტერებზე (დესკტოპი, ლეპტოპი), A4 ფორმატის საბეჭდ ქაღალდზე (უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი, პირველი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი) და ფიქსურ სატელეფონო მომსახურებაზე.

2015 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 5 სახეობაზე გამოცხადდა 7 ტიპის ტენდერი. შემსყიდველი ორგანიზაციები საჭიროებდნენ დიზელისა და ევროდიზელის გატანას მიმწოდებლის ნავთობბაზებიდან ბენზინმზიდების მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა ტენდერების გამიჯვნის საჭიროება საწვავის გატანის მეთოდის მიხედვით. შესაბამისად, დიზელისა და ევროდიზელის შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა შემდეგი ტენდერები:

1. ავტოგასამართი სადგურიდან გატანის ტენდერები - ცხადდება შემსყიდველებისთვის, რომელთათვისაც დიზელის/ევროდიზელის მიწოდება მოსახერხებელია გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურიდან.
2. ნავთობ ბაზიდან გატანის ტენდერები - ცხადდება შემსყიდველებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ საწვავის დიდი მოცულობა ტექნიკისთვის ან ისეთი მანქანებისათვის, რომელთა მიყვანა ავტოგასამართ სადგურებზე შეუძლებელია. ნავთობბაზიდან გატანის ტენდერის ფარგლებში ერთი ლიტრი საწვავის ფასი ავტოგასამართი სადგურიდან გატანის ტენდერის ფარგლებში არსებულ ფასთან შედარებით რამდენიმე თეთრით იაფია.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში 1 (ერთი) ლიტრი საწვავის ფასის დადგენა ხდება ყოველთვიურად, სპეციალური ფორმულის მეშვეობით. რის შემდეგაც, გამარჯვებული მიმწოდებელი და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ყოველი თვის დასაწყისში ერთი

ლიტრი საწვავის განახლებულ ფასს ათავსებენ თავიანთ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

ავტოგასამართი სადგურებიდან საწვავის გატანა ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

- საწვავის გატანა ტალონების მეშვეობით;
- საწვავის გატანა უნომრო პლასტიკური ბარათების მეშვეობით;
- საწვავის გატანა ნომრიანი პლასტიკური ბარათების მეშვეობით;
- საწვავის გატანა აგაი (ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების) სისტემის მეშვეობით.

ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმების საჭიროება და არსი მდგომარეობს შემდეგში:
აგაი სისტემა წარმოადგენს ელექტრონულ სისტემას, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ავტორიზებული ავტომანქანის იდენტიფიცირება ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტომანქანის ავზის ერთმანეთთან დაკავშირების გზით. აღნიშნული სისტემის მეშვეობით საწვავის ჩასხმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პისტოლეტი ელექტრონული გზით მოახდენს ავტორიზებული ავტომანქანის იდენტიფიცირებას. შესაბამისად, შეუძლებელია კონსოლიდირებული ტენდერის პირობებით საწვავის ჩასხმა განხორციელდეს ისეთ ავტომანქანებში, რომლებიც არ წარმოადგენენ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების კუთვნილ ავტორიზებულ ავტომანქანებს. აღნიშნულმა სისტემამ ყველაზე ეფექტურად და სრულყოფილად უზრუნველყო საწვავის არამიზნობრივი ხარჯვის მინიმიზაცია. ყოველივე ამან კი განაპირობა მნიშვნელოვანი ოდენობით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.
პრაქტიკაში სხვადასხვა შემთხვევებიდან და ობიექტური საჭიროებებიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციებს არ აქვთ შესაძლებლობა საწვავის გატანა მოახდინონ „აგაი“ სისტემის მეშვეობით. ასეთ შემთხვევებში, შემსყიდველები საწვავის გატანას ახორციელებენ სატალონე ან საბარათე სისტემის მეშვეობით. მაგალითად, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას საწვავი ესაჭიროება ენერგო მომარაგების ან/და შენობის გათბობისათვის, მას ეძლევა შესაძლებლობა საწვავი შეიძინოს უნომრო პლასტიკური ბარათების ან ტალონების მეშვეობით. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციას საწვავი ესაჭიროება ისეთი ავტომანქანებისათვის ან სპეცტექნიკისათვის, რომლებზეც „აგაი“ სისტემის დამონტაჟება ტექნიკურად გაუმართლებელია, მაგრამ ამ ავტომაქანებს აქვთ სახელმწიფო სანომრე ნიშნები, შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ შესაძლებლობა საწვავის შეძენა განახორციელონ ნომრიანი პლასტიკური ბარათების მეშვეობით.

იმ გამონაკლისი შემთხვევების ჩამონათვალი, რომლის დროსაც შესაძლებელია საწვავის გატანა ავტოგასამართი სადგურებიდან მოხდეს „აგაი“ სისტემის გარეშე, მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. ეს გამონაკლისებია:

- საწვავის შესყიდვა ოპერატიული საქმიანობის ავტომანქანებისათვის;

- საწვავის შესყიდვა შენობა-ნაგებობის გათბობის მიზნით;
- საწვავის შესყიდვა უწყვეტი ენერგო მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით;
- საწვავის შესყიდვა სხვადასხვა სპეცტექნიკისათვის (მცურავი საშუალებები, სატვირთო ავტომანქანები, დასუფთავების მანქანები, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო ან სამხედრო სპეციალური მანქანები და სხვა);
- საწვავის შესყიდვა დროებითი სარგებლობის სხვადასხვა ფორმით ექსპლუატაციაში მყოფი ან/და კერძო საკუთრებაში არსებული ავტომანქანებისათვის, რომლებსაც იყენებენ სამსახურებრივი დანიშნულებისათვის და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, გარდა ზემოაღნიშნული გამონაკლისი შემთხვევებისა, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გამარჯვებული მიმწოდებლისაგან საწვავის ავტოგასამართი სადგურებიდან გატანა განახორციელოს „აგაი“ სისტემის მეშვეობით. შემსყიდველი ორგანიზაცია ზემოაღნიშნულ გამონაკლის შემთხვევებში ვალდებულია, საწვავის „აგაი“ სისტემის გარეშე შეძენის ნებართვის მიღების მიზნით, სატენდერო კომისიას მიმართოს წერილით, რომელშიც შემსყიდველი დეტალურად აღწერს იმ ვითარებასა და გარემოებას, რომლის გამოც შეუძლებელია საწვავის შეძენა განხორციელდეს „აგაი“ სისტემით. მიმართვის წერილს აუცილებლად თან უნდა ახლდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული „აგაი სისტემის გარეშე შესასყიდი საწვავის შესახებ“ შევსებული ცხრილი. წერილის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში სატენდერო კომისია განიხილავს შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით მიმართვას და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნის დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებით გათვალისწინებული კონკრეტული საწვავის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას იმის გამო, რომ გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგური შემსყიდველი ორგანიზაციის ლოკაციის ადგილიდან 15 კილომეტრზე მეტი მანძილითაა დაშორებული, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია სხვა ლოკალური მიმწოდებლისაგან გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული საჭირო მოცულობის საწვავი შეისყიდოს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული მდგომარეობა შეათანხმოს მის ზემდგომ ან კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან. ზემდგომი ან კონტროლის

განმახორციელებელი ორგანოს თანხმობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს შესყიდვა გადაუდებელი აუცილებლობით, რის შესახებაც ვალდებულია აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. შემსყიდველი ორგანიზაცია სააგენტოს წარუდგენს ზემდგომი ან კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსაგან მიღებული თანხმობის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შევსებული "საწვავის გამარტივებული შესყიდვისას წარსადგენი ინფორმაციის ფორმა"[16].

სტანდარტული კომპიუტერების შესყიდვის მიზნით კონსოლიდირებული ტენდერები ცხადდება სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების შესყიდვაზე. აღნიშნული ტენდერები ცხადდება კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტული ტიპის კომპიუტერებზე (სტანდარტული ლეპტოპისა და დესკტოპის ტექნიკური მაჩვენებლები განსაზღვრულია შესაბამის სატენდერო დოკუმენტაციებში). კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს ავლენს სატენდერო კომისია. შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე იქმნება კომისიის სხდომის ოქმი და იტვირთება სისტემაში. შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობითი ფორმით მიმართავს მიმწოდებელს შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მიმწოდებელი ვალდებულია გაუფორმოს ხელშეკრულება ყველა იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც მიმართავს მას აღნიშნულის თაობაზე. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც აუცილებელია, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში აიტვირთოს ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში. შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთათვისაც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვა, ვალდებულნი არიან სტანდარტული ლეპტოპები და დესკტოპები შეიძინონ მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველ ორგანიზაციას ესაჭიროება განსხვავებული ტექნიკური პარამეტრების მქონე კომპიუტერები, შემსყიდველი უფლებამოსილია განსხვავებული პარამეტრების მქონე არასტანდარტული კომპიუტერის შესყიდვა განახორციელოს სატენდერო კომისიის მხრიდან შესაბამისი ნებართვის მიღების შემთხვევაში, რისთვისაც იგი წერილობით მიმართავს სატენდერო კომისიას, დეტალურად აღწერს, თუ რამ გამოიწვია განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე კომპიუტერების შეძენის აუცილებლობა და უთითებს მისთვის საჭირო კომპიუტერის ტექნიკურ პარამეტრებს.

---

[16] http://www.procurement.gov.ge/Konsolidirebuli/Petroleum.aspx

A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდის კონსოლიდირებული ტენდერის პირობები სავალდებულო წესით ვრცელდება სისტემაში სახელმწიფო ორგანოს ფორმით რეგისტრირებულ ორგანიზაციებზე, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით რეგისტრირებულ ორგანიზაციებზე (გარდა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ-ებისა), აგრეთვე სისტემაში რეგისტრირებულ ყველა იმ შემსყიდველ ორგანიზაციაზე, რომელთა იურიდიული ან/და ფაქტობრივი მისამართი ქ. თბილისშია.

იმ შემსყიდველ ორგანიზაციებს, რომლებისთვისაც სავალდებულო წესით ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის პირობები, მოეთხოვებათ საბეჭდი ქაღალდი შეისყიდონ მხოლოდ კონსოლიდირებულ ტენდერის მეშვეობით, გარდა კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებისა.

კონსოლიდირებული ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი საბეჭდი ქაღალდის პირველ მიწოდებას ახორციელებს გამარჯვებულად გამოვლენის შემდგომ, 30 დღის ვადაში, შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი მიმართვის საფუძველზე. ყოველი შემდგომი მიწოდება კი ხორციელდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით მხოლოდ ქ. თბილისის ტერიტორიაზე. ქ. თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე საქონლის მიწოდება ხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ განახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, იგი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით გადაიხადოს მისაწოდებელი საქონლის 0.05% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე მანამ, სანამ პირგასამტეხლოს ოდენობა არ გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 1%-ს. აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გახსოვდეთ!

იმ შემთხვევაში, თუ ერთჯერადად მისაწოდებელი ქაღალდის რაოდენობა ნაკლებია 5 შეკვრაზე, მიმწოდებელი არ არის ვალდებული შემსყიდველს ქაღალდი მიაწოდოს საკუთარი ხარჯებით.

ფიქური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერი თავისი პირობებით განსხვავდება სხვა კონსოლიდირებულ ტენდერებისგან. სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, გამარჯვებულია ის პრეტენდენტი, რომელიც დააკმაყოფილებს ან გააუმჯობესებს სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ტარიფებს და ამასთანავე, დააკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. თუ ფიქური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებულ ტენდერში გამოვლინდა ორი ან მეტი გამარჯვებული პრეტენდენტი, სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი აბონენტთა საორიენტაციო რაოდენობა გამარჯვებულ პრეტენდენტებს შორის გადანაწილდება თანაბრად. ორი ან ორზე მეტი გამარჯვებული პრეტენდენტის არსებობისას, იმ შემთხვევაში როდესაც ერთ-ერთი გამარჯვებული კომპანია შეავსებს აბონენტთა მაქსიმალურ ზღვარს, ვალდებულია შეწყვიტოს აბონენტების დამატება. გამარჯვებულ მიმწოდებლებს შორის გადანაწილებული აბონენტების გადასვლა სხვა მობილური ოპერატორთან კვოტის ზევით შესაძლებელი იქნება მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც სატენდერო კომისია განიხილავს ერთ-ერთი გამარჯვებული პრეტენდენტის ქსელში ჩართული შემსყიდველი ორგანიზაციის პორტირების შესაძლებლობას მეორე გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხდება მაშინ, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კომისიას კონკრეტული გამარჯვებული პრეტენდენტის ქსელის სუსტი დაფარვის თაობაზე ინფორმაციით. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ წარადგინოს წერილი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი სიტუაცია და კონკრეტული ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც გამარჯვებულ პრეტენდენტს არ გააჩნია საერთოდ დაფარვა ან აქვს სუსტი დაფარვა. კომისია წერილის მიღების შემდგომ წარუდგენს წერილს იმ გამარჯვებულ მიმწოდებელს, რომლის სახელზეც იქნა შემოსული ინფორმაცია და გამოითხოვს დასკვნას ქსელის დაფარვის თაობაზე კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში. თუ ეს ინფორმაცია დადასტურებული იქნება აღნიშნული მიმწოდებლისგან, კომისია გასცემს თანხმობას შემსყიდველის გადაპორტირებაზე სხვა გამარჯვებული მიმწოდებლის ქსელში, თუ რა თქმა უნდა იგი უზრუნველყოფს პორტირებულ ორგანიზაციას ქსელის სრული დაფარვით.

ფიქური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველი ორგანიზაციის თითოეულ თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს კორპორატიულ ქსელში ჩართული მხოლოდ ერთი სააბონენტო ნომრით, კორპორატიული ქსელის ტარიფებით. ამასთან, თითოეულ თანამშრომელს აქვს უფლება აიღოს კორპორატიულ ქსელში ჩართული დამატებით მხოლოდ ერთი სააბონენტო ნომერი ოჯახის წევრისთვის (მშობელი, მეუღლე ან შვილი). ამ უკანასკნელის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის ფინანსურად პასუხისმგებელი

არათანამშრომელთა სიაში რიცხულ სააბონენტო ნომერზე.
შემსყიდველ ორგანიზაციას ევალება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლ(ებ)ის გამოვლენისთანავე დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა და მიაწოდოს დასაპორტირებელი ნომრების თაობაზე შემდეგი ინფორმაცია:

- საშტატო ნუსხები (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეები);
- თანამშრომლებზე (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეებზე) და არათანამშრომლებზე გაცემული სააბონენტო ნომრები;
- თანამშრომელთა ფიქური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტები.

აღსანიშნავია, რომ როგორც ხელშეკრულებაში მითითებული ნომრების რაოდენობა, ასევე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული თანამშრომელთა ფიქური სატელეფონო მომსახურებით სარგებლობის ლიმიტები საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში. შემსყიდველ ორგანიზაციებს, ნომრის დამატებისას, არ ევალებათ კომისიასთან რაიმე სახის შეთანხმება. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია კომისიას კვარტალში ერთხელ (თებერვალში, ივლისსა და დეკემბერში) წარუდგინოს განახლებული ინფორმაცია: საშტატო ნუსხების, სატელეფონო მომსახურების სარგებლობის ლიმიტების, თანამშრომლებსა და არათანამშრომლებზე გაცემული სააბონენტო ნომრებისა და პორტირებული აბონენტების თაობაზე.
იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ, რომელიც სარგებლობს ფიქური სატელეფონო მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერით, გაათავისუფლა თანამშრომელი, მისი გათავისუფლებისთანავე უნდა აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის თაობაზე. ამის შემდეგ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს გათავისუფლებული თანამშრომლისთვის ნომრის გადაცემა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესს.

გახსოვდეთ!

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებას ან/და შეასრულებს ნაწილობრივ, ანუ არაჯეროვნად, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

გახსოვდეთ!

ნებისმიერ საკითხზე კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიასთან მიმოწერა ხორციელდება კონკრეტული კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია კი წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.

11. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტია. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ფორმდება წერილობითი ფორმით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო:

ა. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების მიერ, აგრეთვე თავდაცვის ატაშეს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთა მიერ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისას და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
ბ. ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას;
გ. წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას;
დ. საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას.

იმ შემთხვევაში, თუ არ არის სავალდებულო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულება შესაძლებელია ჩანაცვლდეს სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა. შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
ბ. შესყიდვის ობიექტის ღირებულებას;
გ. შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდის დადასტურებას;
დ. მიმწოდებლის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო ნომერს.

ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი შესაძლებელია ჩანაცვლდეს ინტერნეტის საშუალებით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით.
შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა. მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;
ბ. ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს;

გ. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – ხელშეკრულების ღირებულებას;
დ. საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების კონკრეტულ ვადას;
ე. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში);
ვ. ხელშეკრულების კონკრეტულ მოქმედების ვადას, რომელიც მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მიწოდების ვადას;
ზ. გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში - ხელშეკრულების დადების საფუძველს, აგრეთვე კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული თითოეული შემთხვევა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
თ. სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.

გახსოვდეთ!

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე უნდა შემოწმდეს ხომ არ არის მიმწოდებელი დარეგისტრირებული შავ სიაში.

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა წინასწარი ანგარიშსწორება, აუცილებლად უნდა გაიწეროს ხელშეკრულებაში წინასწარი ანგარიშსწორების პირობები, რათა მიმწოდებელმა წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია.

წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30,000,000 ლარს. გარდა ამისა, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე. ამ თანხის გამოყენება ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200,000 ლარს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია.

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია შეიძლება მოთხოვნილი იქნას ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 5%-მდე ოდენობით. გარანტიის ხელშეკრულების ღირებულების 2%-დან 10%-მდე ოდენობით მოთხოვნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში გარანტიის ოდენობა ნახევრდება. გარდა ამისა, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარდგენისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარდგენისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი რომელიც რეგისტრირებულია თეთრ სიაში.

ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, მათი მოთხოვნისას, გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - ხელშეკრულების დადებამდე. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოქმედების ვადა, გარანტიიდან ან დაზღვევიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების, ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები, განისაზღვრება ხელშეკრულებით. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულების შესრულების ისეთ გარანტიაზე ან დაზღვევაზე, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამება.

გახსოვდეთ!

ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. ამასთან, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

გახსოვდეთ!

ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებით შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის წარმოიშობა სახელშეკრულებო ურთიერთობა, აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი დებულებების დაცვაც.

12. რა არის CMR მოდული და როგორ ხდება ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის წარდგენა

მიმწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების, შეწყვეტის ან მასში რაიმე სახის ცვლილების შეტანის შესახებ აცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

გამარტივებული შესყიდვის და კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში, ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში. ასევე, CMR-ში იტვირთება ხელშეკრულებაში ცვლილების (შეწყვეტის) ამსახველი დოკუმენტის ასლი, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანიდან 10 დღის ვადაში. გარდა ამისა, შემსყიდველი ასევე ვალდებულია, 10 დღის ვადაში, სააგენტოს აცნობოს ხელშეკრულების შესრულება/შეუსრულებლობის შესახებ, რისთვისაც იგი CMR-ში ტვირთავს ხელშეკრულების შესრულების ან მისი შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტსა და ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციას.

გამარტივებული შესყიდვისა და კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებისგან განსხვავებით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, ელექტრონული ტენდერისა და კონკურსის გზით გამოვლენილ გამარჯვებულთან დადებული ხელშეკრულების (მათ შორის ხელშეკრულების ცვლილების ან შეწყვეტის) შესახებ სააგენტოსადმი ანგარიშის წარდგენა ხორციელდება უშუალოდ ელექტრონულ სისტემაში შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის ატვირთვით, ხელშეკრულების დადებიდან (ასევე, ცვლილებიდან, ან შეწყვეტიდან) 10 დღის ვადაში. გარდა ამისა, კონკურსის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსადმი წარდგენისათვის შემსყიდველმა ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს საკონკურსო/ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები და კონკურსთან, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული ანგარიშგების წესები არ ვრცელდება იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებშიც მსოფლიო ბანკი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი ან ევროპის საინვესტიციო ბანკი არიან შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი და სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება ჩამოთვლილი ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურებით საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე. ასეთ გამონაკლის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიმწოდებელთან ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში. ამასთან, ასეთი ტიპის შესყიდვასთან დაკავშირებული ინფორმაცია სააგენტოს უნდა წარედგინოს იმავე ენაზე რა ენაზეც წარმოებდა შესყიდვის პროცედურა.

გახსოვდეთ!

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს განხორციელებულ შესყიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტაციის შენახვა შესაბამისი პროცედურიდან 6 წლის განმავლობაში, ხოლო, გრძელვადიანი ხელშეკრულების (2 წელი და მეტი) შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლიდან 3 წლის განმავლობაში.

13. დავების განხილვის საბჭო

სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭო არის კოლეგიური ორგანო, რომელიც განიხილავს შემსყიდველი ორგანიზაციების წინააღმდეგ წარდგენილ შესყიდვის პროცედურების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საჩივრებს. ზოგადად, კანონმდებლობა მიმწოდებლებს გასაჩივრების სამ ალტერნატივას სთავაზობს – დავების განხილვის საბჭო, შემსყიდველი ორგანიზაცია ან სასამართლო. თუმცა, დავების განხილვის საბჭოს მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მისი სტატუსიდან და ფორმირების წესიდან გამომდინარე.
საბჭო პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი კოლეგიური ორგანოა, რომელიც ექვსი წევრისგან შედგება. სამი მათგანი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ხოლო დარჩენილი სამი – არასამთავრობო სექტორს. დავების განხილვის საბჭო შეიქმნა 2010 წლის 30 ნოემბერს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების სამართლიანობისა და სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. საბჭოს თავმჯდომარეობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე, რომელიც, სააგენტოს თანამშრომელთა შემადგენლობიდან, ნიშნავს საბჭოს ორ წევრს ერთი წლის ვადით. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის სამ წევრს, ისინი აირჩევიან არასამთავრობო სექტორის ფართო შემადგენლობიდან, როტაციის პრინციპითა და არჩევნების საფუძველზე, რომელსაც თავად არასამთავრობო სექტორი ატარებს აბსოლუტურად დამოუკიდებლად და გარეშე პირთა ჩაურევლად. დაუშვებელია სააგენტოს ან/და საბჭოს აპარატის წარმომადგენლის მიერ საბჭოს წევრთა არჩევნებთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა ან/და ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობის მიღება. სააგენტო მხოლოდ უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა არჩევნების ორგანიზაციულ მხარდაჭერას.

არჩევნების დასრულების შემდეგ, შერჩეული კანდიდატი დასანიშნად წარედგინება სააგენტოს თავმჯდომარეს. მას უფლება არ აქვს, უარი თქვას წარდგენილი კანდიდატის დანიშვნაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არ წარმოიშვება დამაბრკოლებელი გარემოება. ეს შეიძლება იყოს: კანდიდატის პირადი განცხადება, გარდაცვალება, მის მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან საქმიანობის დაწყება, მისი წარმომდგენი არასამთავრობო ორგანიზაციიდან გათავისუფლება, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ აღიარება, მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა.

რაც შეეხება საბჭოს წევრობასთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავებას და შეუთავსებელ საქმიანობას, ასეთად მიიჩნევა:

- შემსყიდველ ორგანიზაციაში დასაქმება ან შესყიდვებში მონაწილეობის მსურველობა/ პრეტენდენტობა/მიმწოდებლობა;
- შემსყიდველი ორგანიზაციის ან შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის/პრეტენდენტის/ მიმწოდებლის წარმომადგენლობა;
- კონსულტაციის გაწევა შემსყიდველი ორგანიზაციისთვის ან შესყიდვებში მონაწილეობის

მსურველისთვის/პრეტენდენტისთვის/მიმწოდებლისთვის.

სისტემაში „მიმწოდებლად“ რეგისტრირებულ შესყიდვებში მონაწილეობის მსურველს ან პრეტენდენტს შეუძლია, გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება/ქმედება საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ დაირღვა კანონით ან/და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები. 2014 წლის განმავლობაში საბჭოში სულ 572 საჩივარი იქნა წარდგენილი, რომელთაგან საბჭოს მიერ დაკმაყოფილდა 226, არ დაკმაყოფილდა 240, დაუშვებლად იქნა მიჩნეული 89 საჩივარი და მომჩივანთა მიერ უკან იქნა გახმობილი 17 საჩივარი.

აღსანიშნავია, რომ საბჭოში გასაჩივრება შემოფარგლულია კონკრეტული ხანდაზმულობის ვადით, ასევე სხვა გარემოებებით, კერძოდ, საბჭოში გასაჩივრება შესაძლებელია:

- ტენდერის/კონკურსის ჩატარების შედეგად სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე;
- ტენდერისათვის/კონკურსისათვის სტატუსის „არ შედგა“ მინიჭების შემთხვევაში – დაიშვება საჩივრის წარდგენა მხოლოდ სატენდერო/საკონკურსო განცხადებასთან და სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;
- ტენდერისათვის/კონკურსისთვის სტატუსის „შეწყვეტილია“ მინიჭების შემთხვევაში – დაიშვება საჩივრის წარდგენა მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებასთან/ქმედებასთან დაკავშირებით (მაგალითად, ტენდერის/

კონკურსის შეწყვეტის მიუხედავად, მომჩივანი ასაჩივრებს სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაციის შეუსაბამო ჩანაწერს ან დისკვალიფიკაციას). რაც შეეხება თავად ტენდერის/კონკურსის შეწყვეტის მიზეზს, იგი არ საჩივრდება;

- შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და სატენდერო/საკონკურსო კომისიის სადავო გადაწყვეტილების სისტემაში ატვირთვიდან ან ქმედების განხორციელებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერს/კონკურსს მინიჭებული აქვს სტატუსი „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, მაშინ გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

საბჭოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება:

- სახელმწიფო შესყიდვის საშუალების შერჩევა;
- სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შეჩერება;
- სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შეწყვეტა;
- საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონების განსაზღვრის, ხარისხის შეფასების კრიტერიუმების, მათი ტიპებისა და ხვედრითი წონების განსაზღვრის მიზანშეწონილობა, ასევე საკონკურსო კომისიის ის შეფასება, რომელიც მიღებულია საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების არათვლად კრიტერიუმთან დაკავშირებით.

საბჭოში საჩივრის წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით. ამ მიზნით, მომჩივანი სადავო სატენდერო/საკონკურსო განცხადების ველში ირჩევს ღილაკს „გასაჩივრება“, რის შემდეგაც უნდა შეივსოს საჩივრის ელექტრონული ფორმა და იგი ელექტრონულად წარედგინოს საბჭოს.

საჩივრის საბჭოში წარდგენის შემდეგ, საბჭოს აპარატი, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, ამოწმებს მის დასაშვებობას. საჩივრის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, იწყება დავის განხილვის ვადის ათვლა. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არასრულყოფილია, საბჭოს აპარატი მომჩივანს განუსაზღვრავს არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ხარვეზი არ გამოსწორდება, საჩივარი დაუშვებლად იქნება ცნობილი, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შემთხვევაში, დაიწყება გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლა.

საჩივრის დასაშვებად ცნობისთანავე, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, შეაჩეროს შესყიდვის პროცედურები. თუ საჩივრის წარდგენის მომენტისთვის ჯერ არ არის ჩატარებული ვაჭრობა, პროცედურები შეჩერდება მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდგომ. შესყიდვის პროცედურების შეჩერება გულისხმობს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიუღებლობას ან ქმედების განუხორციელებლობას. მათ შორის, შემსყიდველ ორგანიზაციას ეკრძალება, იმავე შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებით არ გამოაცხადოს (დაიწყოს) ან შეაჩეროს უკვე გამოცხადებული (დაწყებული) ხელახალი შესყიდვა (ასეთი არსებობის შემთხვევაში). შესყიდვის პროცედურები ჩერდება საჩივრის განხილვის ვადით. საბჭო საჩივარს იხილავს მისი დასაშვებად ცნობიდან ათი სამუშაო დღის ვადაში. ამავე პერიოდში ტარდება საჩივრის განხილვის სხდომა, რომელიც ღიაა. იგი შეიძლება დაიხუროს, თუ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საამისო საფუძველი. საბჭოს სხდომას ესწრებიან საბჭოს წევრები და მხარეები, ასევე დაინტერესებული პირები (მათი არსებობის შემთხვევაში). სხდომაზე მხარეები და დაინტერესებული პირები შესაძლებელია წარმოდგენილი იყვნენ, როგორც პირადად, ასევე უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი ვალდებულია, წარადგინოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი – მინდობილობა. საბჭოს სხდომას წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. პირველი მოხსენებით გამოდის მომჩივანი, რომელიც საბჭოს მოახსენებს პოზიციას იმ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც იგი მოითხოვს საჩივრის დაკმაყოფილებას. ამის შემდგომ, მოპასუხე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი მოახსენებს საბჭოს საკუთარ პოზიციას მტკიცებულებებზე მითითებით. თუ საქმეში ჩაბმულია დაინტერესებული პირი, იგი ან მისი წარმომადგენელი საკუთარ პოზიციას აფიქსირებს მომჩივნისა და მოპასუხის მოხსენებების შემდეგ. მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს დაუსვან კითხვები სხდომის თავმჯდომარის თანხმობით. საბჭოს წევრს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დაუსვას მხარეს კითხვა. აუცილებლობის შემთხვევაში, საბჭოს სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი, ექსპერტი ან/და თარჯიმანი შესაბამისი მხარის მოთხოვნით ან

საბჭოს ინიციატივით. სპეციალისტის, ექსპერტი ან/და თარჯიმნის საბჭოს სხდომაზე მოწვევის საკითხს წყვეტს საბჭო. მხარეთა პოზიციების მოსმენის შემდეგ, გადაწყვეტილების მიღების მიზნით, საბჭოს წევრების მონაწილეობით იმართება თათბირი.

საბჭო უფლებამოსილია:

- სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს საჩივარი;
- არ დააკმაყოფილოს საჩივარი.

გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა. საბჭოს წევრს უფლება არ აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. საბჭოს წევრს, რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუძლია წერილობით ჩამოაყალიბოს განსხვავებული აზრი, რაც დაერთვება მიღებულ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილებას ხელს აწერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილე ყველა წევრი.

გახსოვდეთ!

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია საბჭოს გადაწყვეტილება შეასრულოს დაუყოვნებლივ. გადაწყვეტილება მიღებისთანავე იტვირთება დავების განხილვის საბჭოს ელექტრონულ მოდულში მისამართზე https://tenders.procurement.gov.ge/dispute, რაც ითვლება გადაწყვეტილების ოფიციალურ გაცნობად.

საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას აკონტროლებს საბჭოს აპარატი. ნებისმიერ დაინტერესებულს პირს უფლება აქვს, მიმართოს საბჭოს აპარატს და მიაწოდოს მას ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან მისი აღსრულების შეფერხების შესახებ. გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას. ამასთან, მხარეები და დაინტერესებული პირები უფლებამოსილი არიან, გაასაჩივრონ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. რა არის შავი სია

შავი სია წარმოადგენს შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრს, რომელში რეგისტრირებულ მიმწოდებელს რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში ეკრძალება სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება.



შავი სია სახელმწიფო შესყიდვებში ასრულებს, როგორც რეპრესიულ, ასევე პრევენციულ ფუნქციას. რეპრესიული ფუნქციის მიხედვით, მიმწოდებელი, რომელიც ჩაიდენს წინასწარ განსაზღვრულ დარღვევას, დარეგისტრირდება შავ სიაში და ერთი წლით ჩამოერთმევა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის უფლება. პრევენციული ფუნქციის მიხედვით, შავი სია სახელმწიფოსა და შემსყიდველ ორგანიზაციებს იცავს არასასურველი – არაკეთილსინდისიერი კონტრაგენტებისგან, ასევე, აფრთხილებს თავად მიმწოდებელს, რომ საქმიანობის არაჯეროვნად წარმართვის შემთხვევაში, იგი დარეგისტრირდება შავ სიაში.

პრეტენდენტი/მიმწოდებელი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას, თუ:

- ტენდერში/კონკურსში გამარჯვების შემდეგ, არ წარადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას ან უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე;
- ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

- ვერ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

მიმწოდებელს შავ სიაში არეგისტრირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის საფუძვლები, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ წარადგინოს სააგენტოში წერილობითი შეტყობინება. მასში აღინიშნება:

- შესყიდვის განხორციელების საშუალების დასახელება;
- შესყიდვის რეკვიზიტები;
- შესყიდვის ობიექტის დასახელება;
- შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის რეკვიზიტები;
- პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის დამადასტურებელი გადაწყვეტილება;
- პრეტენდენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ წერილობითი შეტყობინება წარდგენილია ამ საფუძვლით);
- მიმწოდებლის მიერ დადგენილ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები (თუ წერილობითი შეტყობინება წარდგენილია ამ საფუძვლით). თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა, მაშინ წერილობით შეტყობინებას დაერთვის ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტიც.

წარმოდგენილ წერილობით შეტყობინებას სააგენტო იხილავს ორი თვის ვადაში, რის შემდეგაც იგი იღებს სამ შესაძლო გადაწყვეტილებას:

- უარი დარეგისტრირებაზე – თუ არ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი;
- გაფრთხილების შესახებ – თუ, მართალია, არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, თუმცა, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში, პრეტენდენტს/მიმწოდებელს არ ეზღუდება სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობის მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შემდგომ დარეგისტრირდება შავ სიაში;
- შავ სიაში დარეგისტრირებაზე – თუ არ არსებობს შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები. ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს/მიმწოდებელს, შავ სიაში რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში, ერთმევა უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

15. რა არის თეთრი სია

თეთრი სია არის შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული კვალიფიციური მიმწოდებლები რეგისტრაციიდან ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვებში სარგებლობს გამარტივებული პროცედურებით.

თეთრ სიაში რეგისტრაცია შეუძლია იმ მიმწოდებელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

- თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული შავ სიაში;
- თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;
- თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული აქვს არანაკლებ 2 დადასტურება მის მიერ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ. ასეთი ხელშეკრულების ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 5,000 ლარი.

- მიმწოდებელი (მიმწოდებლის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ყველა პირი) არ არის ნასამართლევი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე–182-ე მუხლებით, XXVI თავით (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ), XXVII თავით (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში), XXVIII თავით (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში), XXIX (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ), 223^1 224^1, 322^2, 339-ე, 339^1 და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ 1,000,000 ლარის საერთო ბრუნვა;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის განახლებული აქვს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.



თეთრ სიაში რეგისტრაციისთვის მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარადგინოს მიმწოდებლის კორპორაციული CV და ინფორმაცია მიმწოდებლის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ (მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი მიმწოდებლის შემთხვევაში).
სააგენტო მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების საკითხს იხილავს მოთხოვნიდან ერთი თვის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის განცხადება ხარვეზიანია, მას ეძლევა ვადა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად.
თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი:

- თავისუფლდება გამარტივებულ კონკურსში, ელექტრონულ ტენდერსა და ელექტრონულ ტენდერში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას;
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტიას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- შემსყიდველმა ორგანიზაციამ შეიძლება გაათავისუფლოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან;
- ხელშეკრულების შესრულების გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ნახევარს.

თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი მითითებული უფლებებით სარგებლობს ნებისმიერ საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობისას.

გახსოვდეთ!

მიმწოდებელს გაუუქმდება თეთრ სიაში რეგისტრაცია, თუ:

- მიმწოდებელი ვეღარ აკმაყოფილებს თეთრ სიაში დარეგისტრირებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;
- მიმწოდებელი არ შეატყობინებს სააგენტოს ცვლილებებს მის მიერ წარდგენილ მონაცემებში ან სააგენტოს წარუდგენს არასწორ ინფორმაციას.

16. პრაქტიკული რჩევები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სწორად წარმართვისთვის

რჩევები სახელმწიფო შესყიდვების გეგმასთან მიმართებაში

- ePLAN მოდულში რეგისტრირებულ შესყიდვების წლიურ გეგმაში უნდა იყოს ასახული ყველა ის შესყიდვა რომლის განხორციელებასაც აპირებს შემსყიდველი ორგანიზაცია. შესაბამისად, გახსოვდეთ, რომ ყველა შესყიდვა შესყიდვის მომენტისათვის აუცილებლად მითითებული უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმაში.
- შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ePLAN-ში გეგმის რეგისტრაციისას აუცილებლად უნდა დააჭიროთ ღილაკს ,,რეგისტრაცია", წინააღმდეგ შემთხვევაში ePLAN-ში გეგმა წარმოდგენილი იქნება ,,პროექტის სახით" და ასეთი სახით წარმოდგენილი გეგმა არ ითვლება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთვის წარდგენილად. გეგმის სააგენტოში წარდგენად ჩაითვლება მისი რეგისტრაცია ePLAN-ში.
- სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას წინ უნდა უსწრებდეს მისი გათვალისწინება სახელმწიფო შესყიდვების გეგმით, წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული შესყიდვა აღიქმება შესყიდვად, რომელიც განხორციელების მომენტისათვის არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმით[17].
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ადგილი ექნება მონეტარული ზღვრის დარღვევას, თუ კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება აღემატება შესყიდვის საშუალების შესაბამის მონეტარულ ზღვარს და შესყიდვის საფუძვლად მითითებულია ,,ზღვრების შესაბამისად".
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ადგილი ექნება შესყიდვების ხელოვნურ დაყოფას, თუ:

  ა) ერთიდაიმავე დაფინანსების წყაროს ფარგლებში, კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა გათვალისწინებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით, რომლის სავარაუდო ღირებულების ჯამი (მის წინსწრებით გათვალისწინებულთან) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვის, ნებისმიერი შესყიდვის საშუალებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მხოლოდ მონეტარული ზღვრის დაცვით და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, ჯამურ სავარაუდო ღირებულებასთან ერთად აღემატება 5,000 ლარს.

  ბ) ერთიდაიმავე დაფინანსების წყაროს ფარგლებში, კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა გათვალისწინებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (გარდა შესაძლო შემთხვევისა), რომლის სავარაუდო ღირებულების ჯამი (მის წინსწრებით

[17] გარდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი შემსყიდველი ორგანიზაციების (თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვები), ასევე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს მთავრობის კანცელარიის შესყიდვებისა.

გათვალისწინებულთან) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვის ნებისმიერი შესყიდვის საშუალებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მხოლოდ მონეტარული ზღვრის დაცვით და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, ჯამურ სავარაუდო ღირებულებასთან ერთად აღემატება 200,000 ლარს.

გ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხდება შესყიდვის ობიექტის მოცულობის ხელოვნურად შემცირება და აღნიშნულიდან გამომდინარე შესყიდვის გათვალისწინება ხდება თავიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ზღვრების შესაბამისად და შემდგომ ითვალისწინებს ამავე დანაყოფის კოდის შესაბამის შესყიდვებს ელექტრონული ტენდერების საშუალებით.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმით შესყიდვების ხელოვნური დაყოფა და გათვალისწინებულის შესაბამისად შესყიდვების განხორციელება გამოიწვევს განხორციელებული შესყიდვების ხელოვნურ დაყოფას[18].

გახსოვდეთ! სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ერთიდაიმავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა უნდა აისახოს იმდენჯერ, რამდენი დაფინანსების წყაროს ფარგლებშიც არის გათვალისწინებული მისი შესყიდვა მონეტარული ზღვრის შესაბამისი შესყიდვის საშუალებით და ასევე, ყველა იმ შესყიდვის საფუძველით, რომლითაც გათვალისწინებულია მისი შესყიდვა. მაგალითად, კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესყიდვა გეგმით გათვალისწინებულია გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით - გადაუდებელი აუცილებლობა. შემსყიდველ ორგანიზაციას დამატებით ექმნება საჭიროება ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა განახორციელოს ისევ საფუძვლით - გადაუდებელი აუცილებლობა. ამ შემთხვევაში, აღნიშნული შესყიდვის ასახვა გეგმაში არ ხდება ცალკე შესყიდვად, არამედ უნდა განხორციელდეს ამავე დანაყოფის კოდის უკვე ასახული შესყიდვის (საფუძვლით გადაუდებელი აუცილებლობით) სავარაუდო ღირებულების რედაქტირება. ანალოგიურად ვმოქმედებთ სხვა ასეთ შემთხვევებშიც.

---

[18] განხორციელებულ შესყიდვებში ადგილი ექნება შესყიდვების ხელოვნურ დაყოფას, თუ:
ა) ერთიდაიმავე დაფინანსების წყაროს ფარგლებში, კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით, რომლის სახელშეკრულებო ღირებულების ჯამი (მის წინ განხორციელებულებთან) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვების (ნებისმიერი შესყიდვის საშუალებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მხოლოდ მონეტარული ზღვრის დაცვით და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე) ჯამურ ღირებულებასთან ერთად აღემატება 5,000 ლარს.
ბ) ერთიდაიმავე დაფინანსების წყაროს ფარგლებში, კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვა განხორციელებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (გარდა შესაძლო შემთხვევისა), რომლის სახელშეკრულებო ღირებულების ჯამი (მის წინ განხორციელებულებთან) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვის (ნებისმიერი შესყიდვის საშუალებით და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მხოლოდ მონეტარული ზღვრის დაცვით და გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე) ჯამურ ღირებულებასთან ერთად აღემატება 200,000 ლარს.
გ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხდება შესყიდვის ობიექტის მოცულობის ხელოვნურად შემცირება და აღნიშნულიდან გამომდინარე შესყიდვა განხორციელდა თავიდან გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მონეტარული ზღვრის დაცვით და შემდგომ ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვები განხორციელდა ელექტრონული ტენდერების საშუალებით. ეს იმ შემთხვევებში, როცა შემსყიდველს გააჩნია წინა წლების გამოცდილება და აღნიშნული შესყიდვის ობიექტი ორგანიზაციისათვის პრიორიტეტულია.

- თუ კონკრეტული დაფინანსების წყაროს ფარგლებში განხორციელებული შესყიდვა, კონკრეტული საფუძვლით გეგმაში არ იქნება ასახული, აღიქმება როგორც გეგმით გაუთვალისწინებელი.
- ანგარიშების მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია შესყიდვის განხორციელების საფუძველი, რომლიც შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ერთმანეთთან სამ შემთხვევაში: სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, CMR მოდულის შესაბამის გვერდზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში.

მაგალითად, კონკრეტული შესყიდვის საფუძველია ,,ხარისხის გაუარესება“, ამ შემთხვევაში აღნიშნული შესყიდვის საფუძვლად გეგმაში მიეთითება ,,ხარისხის გაუარესება“, CMR მოდულის შესაბამის გვერდზე - ,,სხვა დანარჩენი“, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი“ და ა. შ.

- თუ შემსყიდველმა ორგანიზაციამ კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესყიდვა გეგმით გაითვალისწინა კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, მაშინ:

  ა) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი ერთგვაროვანი შესყიდვის გეგმით გათვალისწინება უნდა მოხდეს უკანასკნელი შესყიდვის და კონსოლიდირებული ტენდერის ჯამური სავარაუდო ღირებულების მონეტარული ზღვრის შესაბამისი შესყიდვის საშუალებით.
  მაგალითად, XXX00000 დანაყოფის კოდის შესაბამის შესყიდვაზე კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გათვალისწინებულია 4,000 ლარი, ამავე დანაყოფის კოდის ერთგვაროვანი შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 1,500 ლარი, გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით (4,000+1,500=5,500 ლარს), თუ ამავე დანაყოფის კოდის ერთგვაროვანი შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 197,000 ლარს, მაშინ აღნიშნული შესყიდვა გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნას ელექტრონული ტენდერის საშუალებით (4,000+197,000=201,000 ლარს).

  ბ) ამავე დანაყოფის კოდის შესაბამისი შესყიდვის ობიექტის, რომლის შესყიდვა სახსრების რაციონალურად ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე ხორციელდება კონსოლიდირებულ

ტენდერში არაგამარჯვებული მიმწოდებლისაგან, შესყიდვა გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას გამარტივებული შესყიდვის საფუძვლით ,,გადაუდებელი აუცილებლობა“.

- სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში, CMR მოდულის შესაბამის გვერდზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში შესყიდვის საფუძვლად ეთითება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა-კ“ და მე-9 მუხლის 31 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევები.

მაგალითად, კონკრეტული შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია გეოგრაფიული ფაქტორით ან/და გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში აღნიშნული შესყიდვის საფუძვლად გეგმაში მიეთითება ,,დაყოფა რაციონალურობის პრინციპით“, ან ,,დაყოფა გეოგრაფ. დაშორების პრინციპით“, CMR მოდულის შესაბამის გვერდზე - ,,სხვა დანარჩენი“, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 31 პუნქტის ,,ა“ ან ,,ბ“ ქვეპუნქტი“.

- მრავალწლიანი შესყიდვა ყოველწლიურად აისახება შესაბამისი საბიუჯეტო წლის შესყიდვების გეგმაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

მაგალითად, შესყიდვა განხორციელდა 10.11.2014 საბიუჯეტო წელს და მთლიანი ანგარიშსწორება განხორციელდა 10.12.2014 წელს ამავე წლის ასიგნებებით, ხოლო შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება მომდევნო 2015 საბიუჯეტო წელს, ამ შემთხვევაში აღნიშნული შესყიდვა არ წარმოადგენს მრავალწლიან შესყიდვას.

რჩევები ელექტრონული ტენდერის პროცედურების სწორად წარმართვისთვის

გახსოვდეთ! დაუშვებელია ტენდერის გამოცხადება სხვადასხვა კლასიფიკატორის დანაყოფის კოდებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტების შესყიდვაზე.

- ტენდერის გამოცხადებამდე ყურადღებით გადაამოწმეთ სატენდერო განცხადებაში მითითებული ინფორმაცია ხომ არ მოდის შეუსაბამობაში სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ ინფორმაციასთან.

- თუ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით აპირებთ მოითხოვოთ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, აუცილებლად დაასაბუთეთ სატენდერო დოკუმენტაციაში მათი მოთხოვნის აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში საკვალიფიკაციო დოკუმენტების მოთხოვნა დაუშვებელია.

- სატენდერო დოკუმენტაციაში დაუშვებელია კონკრეტული მწარმოებელის (მაგალითად „სნიკერსი“, „ბარამბო“) მითითება. ასევე, დაუშვებელია დოკუმენტაციაში ისეთი კონკრეტული ტექნიკური მახასიათებლების ჩაწერა, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ერთი კონკრეტული მოდელის საქონლის მახასიათებლებს (მაგალითად: ძრავის ტიპი „GDI“, რომელიც გააჩნია მხოლოდ „MITSUBISHI“-ს მარკის რამოდენიმე მოდელს). შესაბამისად, მაქსიმალურად უნდა აარიდოთ თავი სატენდერო დოკუმენტაციაში ზემოაღნიშნული ინფორმაციების მითითებას.

გახსოვდეთ! თუ ტენდერის სავარაუდო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, დაუშვებელია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნა.

- იმ შემთხვევაში თუ აპირებთ ტენდერში მოითხოვოთ საქონლის ნიმუშების წარმოდგენა, აუცილებლად მიუთითეთ მათი წარმოდგენის კონკრეტული ვადა სატენდერო დოკუმენტაციაში.
- თუ შესყიდვის ობიექტია სამშენებლო სამუშაო, სატენდერო განცხადებაში აუცილებლად მიუთითეთ შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა.
- თუ მიმწოდებელმა სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით მოითხოვა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება, თქვენს მიერ აუცილებლად უნდა იყოს გაცემული ამომწურავი პასუხი, კანონით დადგენილ ვადაში.
- სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი სისტემაში ატვირთეთ იმავე დღეს, რომელ დღესაც ამ ოქმით სატენდერო კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას და ყველა სატენდერო კომისიის წევრი მოაწერს ხელს.
- ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ ხელწერილს ხელი უნდა მოაწერონ როგორც სატენდერო კომისიის წევრებმა, ასევე სატენდერო კომისიის აპარატის წევრებმაც.

გახსოვდეთ! დაუშვებელია სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მიმართოს ისეთი ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით, რომელიც არ იყო მოთხოვნილი სატენდერო დოკუმენტაციით.

- თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც მოთხოვნილია სატენდერო დოკუმენტაციით, დაუშვებელია მისი გამარჯვებულად გამოვლენა.
- თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება არ შეიცავს ყველა მოთხოვნილ დოკუმენტს, სატენდერო კომისია ახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, ან მიმართავს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, თუ დაზუსტება არ გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას ან ფასის ზრდას.
- როდესაც სატენდერო კომისია ტენდერის „შერჩევა/შეფასების“ ეტაპზე პრეტენდენტს მიმართავ ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, დაუშვებელია ტენდერის სტატუსის ცვლილება პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენამდე.

მაგალითი: რა პრობლემები შეიძლება შეგიქმნათ ტენდერისათვის სტატუსის ნაადრევმა ცვლილებამ - სატენდერო კომისიამ „შერჩევა/შეფასების“ ეტაპზე პრეტენდენტს მოსთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, რისთვისაც განუსაზღვრა 3 დღე, თუმცა დოკუმენტების წარმოდგენამდე შეცდომით ტენდერს მიანიჭეთ სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“. პრეტენდენტმა წარმოადგინა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია რომელიც ხარვეზიანია და სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მიეცა მისთვის დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო, მაგრამ აღნიშნული საფუძვლით სისტემაში დისკვალიფიკაციის მინიჭება ხდება მხოლოდ „შერჩევა/შეფასების“ ეტაპზე, შესაბამისად ვინაიდან ტენდერს ნაადრევად მიენიჭა სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“, სისტემა აღარ გაძლევთ შესაძლებლობას პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია სისტემაში მოახდინოთ „ტექნიკური დოკუმენტაციის გამო“.

- როდესაც ტენდერის „გამარჯვებული გამოვლენილია“ ეტაპზე პრეტენდენტს მიმართავთ საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, დაუშვებელია ტენდერის სტატუსის ცვლილება მის მიერ საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენამდე.

გახსოვდეთ! დაუშვებელია ერთი წერილით მოსთხოვოთ პრეტენდენტს დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა, ვინაიდან დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნა ხორციელდება ტენდერის „შერჩევა/შეფასების ეტაპზე, ხოლო საკვალიფიკაციო დოკუმენტების მოთხოვნა ტენდერის „გამარჯვებული გამოვლენილია“ ეტაპზე.

- შესყიდვის ობიექტის ნიმუშების წარმოდგენის მოთხოვნა ხორციელდება მხოლოდ ტენდერის „შერჩევა/შეფასების“ ეტაპზე, შესაბამისად დაუშვებელია მათი მოთხოვნა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებთან ერთად.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს აუცილებლად განახორციელეთ ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ორჯერ დაზუსტება.
- თუ სატენდერო დოკუმენტაციით ნიმუშის წარმოდგენა პრეტენდენტს ევალებოდა ელექტრონული ვაჭრობის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში, არ მოახდინოთ ამ ვადის გაზრდა ან შემცირება.

გახსოვდეთ! სატენდერო კომისია ვალდებულია დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება განიხილოს წინადადებების მიღების დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში. აღნიშნული ვადა შეგიძლიათ გააგრძელოთ არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, თუ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმით მიიღებთ აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას და მიუთითებთ შესაბამის მიზეზს.

- ნიმუშების წარმოსადგენი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 სამუშაო დღეს. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არაუმეტეს 5 სამუშაო დღით, სატენდერო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.
- დაუშვებელია პრეტენდენტს დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოსადგენად განესაზღვროს 3 სამუშაო დღეზე მეტი.
- თუ პრეტენდენტმა დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოადგინა 3 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, აუცილებლად უნდა განახორციელოთ მისი დისკვალიფიკაცია ტექნიკური დოკუმენტაციის გამო.
- ყურადღებით განიხილეთ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, რათა გამარჯვებულად არ გამოავლინოთ ისეთი პრეტენდენტი, რომლის სატენდერო წინადადება არ შეიცავს ყველა იმ დოკუმენტს, რაც მოთხოვნილი იყო სატენდერო დოკუმენტაციით.

გახსოვდეთ! დაუშვებელია სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს ერთი წერილით მოსთხოვოს დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა და მოიწვიოს ხელშეკრულების დასადებად. აღნიშნული მოთხოვნით ირღვევა ტენდერის პროცედურული მხარე.

- თუ სატენდერო კომისია პრეტენდენტის ტექნიკურ დოკუმენტაციას სრულყოფილად ცნობს, ტენდერს აუცილებლად უნდა შეეცვალოს სტატუსი „შერჩევა/შეფასება“ და მიენიჭოს სტატუსი „გამარჯვებული გამოვლენილია“.
- დაუშვებელია სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელოს

დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე. მისი დისკვალიფიკაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისთვის განსაზღვრული ვადა.

- თუ სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს საკვალიფიკაციო დოკუმენტაციის წარმოდგენას, აუცილებლად უნდა იქნას მოთხოვნილი სატენდერო კომისიის მიერ, პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაციის სრულყოფილად ცნობის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს პრეტენდენტი არ იმყოფება თეთრ სიაში.
- სატენდერო კომისია თუ პრეტენდენტს მოსთხოვს ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ფასის შესაბამისად დაზუსტებული ფასების ცხრილისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენას, და პრეტენდენტი წარმოადგენს მხოლოდ საკვალიფიკაციო დოკუმენტებს, მისი დისკვალიფიკაცია სისტემაში უნდა განხორციელდეს „საკვალიფიკაციო დოკუმენტების გამო“, ამისათვის ტენდერი უნდა იყოს სტატუსზე „გამარჯვებული გამოვლენილია“.
- დაუშვებელია პრეტენდენტს მოვთხოვოთ ისეთი საკვალიფიკაციო დოკუმენტის წარმოდგენა, რომელსაც არ ითვალისწინებდა სატენდერო დოკუმენტაცია.
- ყურადღებით გადაამოწმეთ, შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტები სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს (გაცემის თარიღი, მასში მითითებული ინფორმაცია და ა. შ.), რათა ხელშეკრულების დასადებად არ მოიწვიოთ ისეთი პრეტენდენტი, რომლის საკვალიფიკაციო დოკუმენტები არ პასუხობს სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
- მიაქციეთ ყურადღება, რომ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში აუცილებლად იყოს მითითებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი, ამასთან ოქმში მითითებული დისკვალიფიკაციის სამართლებრივი საფუძველი შესაბამისობაში უნდა იყოს სისტემაში პრეტენდენტისთვის მინიჭებულ დისკვალიფიკაციასთან.
- იმ შემთხვევაში, თუ არ არის მოთხოვნილი საკვალიფიკაციო დოკუმენტები და პრეტენდენტს დასაზუსტებელი აქვს მხოლოდ საბოლოო ფასის შესაბამისად განფასებული ფასების ცხრილი, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს ფასების ცხრილი აუცილებლად უნდა მოსთხოვოს ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად.

გახსოვდეთ! პრეტენდენტი ტექნიკურ დოკუმენტაციას, ასევე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და არ ხდება მათი ატვირთვა სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ.

- ყურადღებით მოეკიდეთ საქონლის შესყიდვის შემთხვევაში ტენდერის კლასიფიკატორის აღწერის ველში ინფორმაციის სრულყოფილად ასახვას. უნდა იყოს მითითებული მწარმოებელი კომპანია, ქვეყანა, მოდელი. ასევე, აუცილებელია ჩაიშალოს კონკრეტული შესყიდვის ობიექტების მიხედვით ერთეულის ღირებულება, რაოდენობა და საერთო ღირებულება.
- დაუშვებელია ხელშეკრულების დადება განსაზღვრული ვადის შემდგომ. მაგალითად, თუ პრეტენდენტს ეთხოვა გამოცხადებულიყო ხელშეკრულების დასადებად 5 სამუშაო დღეში, ხელშეკრულება მასთან უნდა გაფორმდეს ამ ვადის გასვლამდე, თუ სისტემაში არ არის ატვირთული ოქმი, რომლითაც სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადების ვადის გაგრძელებასთან მიმართებაში.
- თუ არ არის მოთხოვნა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის შესახებ, დაუშვებელია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განესაზღვროს 5 დღეზე მეტი. თუ მოთხოვნილია გარანტია მაშინ შესაძლებელია პრეტენდენტს ხელშეკრულების დასადებად განესაზღვროს არაუმეტეს 10 სამუშაო დღე.
- როდესაც ხორციელდება დაზუსტებული ფასების ცხრილის მოთხოვნა ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად, სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს ფასების ცხრილის წარმოსადგენად უნდა განუსაზღვროს 3 სამუშაო დღე, ხოლო ხელშეკრულების დასადებად 5 სამუშაო დღე.

გახსოვდეთ! თუ სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს ფასების ცხრილის წარმოსადგენად განუსაზღვრა სამი სამუშაო დღე, ხოლო ხელშეკრულების დასადებად 5 სამუშაო დღე და პრეტენდენტმა ფასების ცხრილი წარმოადგინა 3 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ, დაუშვებელია მასთან ხელშეკრულების დადება. აუცილებლად უნდა განხორციელდეს მისი დისკვალიფიკაცია „ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის გამო“.

- ხელშეკრულება უნდა დაიდოს ტენდერისათვის სტატუსის „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“ მინიჭებიდან 3 სამუშაო დღის გასვლის შემდგომ.
- როდესაც პრეტენდენტს მოიწვევთ ხელშეკრულების დასადებად და ამავე დროს ითხოვთ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენას, გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების დადებამდე. თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს გარანტიას უნდა განახორციელოთ მისი დისკვალიფიკაცია „ხელშეკრულების დადებაზე

უარის თქმის გამო“.

- თუ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადას, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გარანტია აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

გახსოვდეთ! ტენდერში დადებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს 10 დღის ვადაში.

- ყურადღებით მოეკიდეთ ხელშეკრულების შედგენის საკითხს, რათა მასში გათვალისწინებული იყოს ყველა სავალდებულო პირობა.
- ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი სისტემაში უნდა აიტვირთოს 10 დღის ვადაში.
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოების შესრულების ვადას.
- ყურადღებით მოეკიდეთ ფაქტობრივი გადახდების ასახვას, შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ატვირთვას სისტემაში და რაც მთავარია ხელშეკრულებისათვის შესაბამისი საბოლოო სტატუსის მინიჭების საკითხს.
- ხელშეკრულებისათვის სტატუსის „შესრულებული ხელშეკრულება“ მინიჭება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაქტობრივ გადახდებში სრულად აისახება თანხა და სისტემაში სრულად აიტვირთება შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები სისტემაში უნდა აიტვირთოს 10 დღის ვადაში.

რჩევები ხელშეკრულებასთან და CMR მოდულთან მიმართებაში

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა არ არის კავშირში მომდევნო საფინანსო წელთან. მაგალითად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა გრძელდება 2015 წლის 31 დეკემბრამდე, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგალითად, 2016 წლის 10 ოქტომბრამდე.

გახსოვდეთ! ხელშეკრულების მოქმედების ვადის მომდევნო საფინანსო წელში გადასვლა არ განაპირობებს აღნიშნული შესყიდვის მრავალწლიან შესყიდვად აღქმას.

- დაუშვებელია! ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ღირებულების არ მითითება ან სავარაუდო ღირებულების მითითება, რომელიც შემდგომი მიწოდების პერიოდში დაზუსტდება.
- დაუშვებელია! ხელშეკრულებით შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის მითითება შემდეგნაირად ,,მოთხოვნის შესაბამისად", უნდა იყოს მითითებული მიწოდების დასაწყისი და დასასრული.

გვახსოვდეს! თუ ხელშეკრულებით განხორციელებულია არაერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების შესყიდვა, ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს თითოეულ დანაყოფის კოდზე ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული თანხა და სისტემაში აიტვირთოს ხელშეკრულების დანართი, სადაც გაწერილია შესყიდვის ობიექტები და რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

- იმ შეთხვევაში, როცა ხელშეკრულების დადება არ არის აუცილებელი, ხელშეკრულება შეიძლება ჩანაცვლდეს შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესყიდვის ობიექტის დასახელების, ღირებულების, ღირებულების გადახდის დადასტურებას, მიმწოდებლის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს და აიტვირთოს CMR მოდულის შესაბამის გვერდზე.
- თუ CMR მოდულის შესაბამის გვერდზე შეცდომით აიტვირთა სხვა ხელშეკრულება, ხელშეკრულებას გააუქმებთ (დააჭერთ გაუქმების ღილაკს), რის შემდეგაც ხელშეკრულება გადაიხაზება და შეგეძლებათ ატვირთოთ ახალი ხელშეკრულება და CMR მოდულის შესაბამისი ველები მოიყვანოთ სწორად ატვირთულ ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში.
- თუ ხელშეკრულებას მიენიჭა არასწორი სტატუსი, უნდა მიმართოთ წერილობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რათა მოხდეს აღნიშნული ხელშეკრულების სტატუსის შეცვლა სტატუსით ,,მიმდინარე ხელშეკრულება", რის შემდგომაც შემსყიდველის მიერ განხორციელდება აღნიშნული ხელშეკრულებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭება.

გახსოვდეთ! ხელშეკრულებისათვის ,,შესრულებული ხელშეკრულება" სტატუსის მინიჭებამდე CMR მოდულის შესაბამის გვერდზე უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

გახსოვდეთ! ხელშეკრულებისათვის ,,შეუსრულებელი ხელშეკრულება" სტატუსის მინიჭებამდე CMR მოდულის შესაბამის გვერდზე უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების შეუსრულებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- თუ ხელშეკრულების ღირებულების ცვლილებიდან გამომდინარე CMR მოდულის შესაბამის გვერდზე შეუსაბამობას აქვს ადგილი ხელშეკრულების ღირებულებასა და ფაქტობრივ

გადახდებს შორის, CMR მოდულის შესაბამის გვერდზე უნდა აიტვირთოს ხელშეკრულების ღირებულების ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გახსოვდეთ! ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციად ითვლება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი დოკუმენტი/კორესპონდენცია (მათ შორის, მიღება/ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ფოტოსურათი და სხვა.)

გახსოვდეთ! განხორციელებული შესყიდვით ადგილი ექნება მონეტარული ზღვრის დარღვევას, თუ კონკრეტული CPV დანაყოფის კოდის შესაბამის შესყიდვაზე დადებული ხელშეკრულების ღირებულება აღემატება შესყიდვის საშუალების შესაბამის მონეტარულ ზღვარს და შესყიდვის საფუძველი არის ,,მონეტარული ზღვრის დაცვით“.

treedesignroom

+995 32 2 14 15 08
info@treedesign.ge
Tree Design room

საქართველო, თბილისი 0113,
რიჩარდ ჰოლბრუკის ქუჩა N8;
032 2 48 48 22;
info@procurement.gov.ge
www. spa.ge